საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ტბელ აბუსერისძის სახელობის
სასწავლო უნივერსიტეტი

ჰუმანიტარულ მეცნერებათა და განათლების ფაკულტეტი

თამუნა ქარცივაძე

დავით კლდიაშვილის სოციალურ-პოლიტიკურ კრიზისს შეწირული პერსონაჟები

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია ფილოლოგიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ნაშრომის ხელმძღვანელი: ასოცირებული პროფესორი მანანა თავდგირიძე

ხიჭაური

2021

განაცხადი

როგორც წარმოდგენილი ნაშრომის ავტორი ვაცხადებ, რომ სამაგისტრო ნაშრომში წარმოდგენილია ჩემი ორიგინალი ნამუშევარი, ის არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ გამოქვეყნებულ და ნააზრევ შეხედულებებს კონკრეტული საკითხის მიმართ. ნებისმიერი აქამდე გამოქვეყნებული სხვა ავტორების მიერ ციტირებული სიტყვები წარმოდგენილია ყოველგვარი წესების დაცვით.

თარიღი:09.07.2020

სახელი-გვარი: თამუნა ქარცივაძე

ანოტაცია

დავით კლდიაშვილი არის მწერალი, რომლის შემოქმედებაც ყველა ეპოქაში ახალ და საინტერესო სათქმელს ამბობს, ყველა თაობაში ის განსხვავებულ ემოციას იწვევს, სათქმელი კი მუდამ ერთია - დაგვანახოს საქართველოს მოსახლეობის სახე საუკუნეთა გზაგასაყარზე.

აღსანიშნავია, რომ მას აქვს წერის თავისებური სტილი. იგი აღწერს ტრაგიზმითა და დრამატიზმით სავსე ცხოვრებას იუმორით, ირონით და ზოგჯერ გროტესკითაც კი. ყოველივე ეს ხშირად ხდება დაბნეულობის მიზეზი, ვინაიდან არ ესმით დავითის სათქმელი. ნათელი მაგალითია დავითის იუბილეზე შემდგარი დიალოგი, როდესაც ერთ-ერთმა მომხსენებელმა აღნიშნა თუ რა კარგად დასცინოდა დავით კლდიაშვილი შემოდგომის აზნაურებს, რომელზედაც დავითმა უპასუხა: „-ეს სიცრუეა, მე არასოდეს არავისთვის დამიცინია“ო.

სამაგისტრო **ნაშრომის მიზანია** ყველა შესაძლო კუთხიდან დავინახოთ დავით კლდიაშვილის შემოქმედება და ჩავწვდეთ იმ ეპოქალური მნიშვნელობის სათქმელს, რაც „იუმორის“ ქვეშ დამალა ავტორმა.

Annotation

Lado Kldiashvili is writer, whose work says new in all epoch, it triggers different emotions in all generation, thing to is always the same – to show us face of Gorgian people at the crossroad of ages.

It must be noted, that he has his own style of writing. He describes life full of tragism and dramatism with humor, irony and sometimes, even with grotesque. All of them frequently happens because of confusion, because they cannot understand what David wanted to say. Great example is dialogue happened at Davids celebration ceremony, when one presenter said, David Kldiashvili was greatly laughing at autumn gentries, then David replied: "-It is not true, I have never laughed at anyone".

The goal of this work is to show David Kldiashvili's work through all edges and to understand great information, which if hidden under "humor" by the author.

სარჩევი

შესავალი გვ.6

თავი I სოციალურ-პოლიტიკური და კულტურულ-ლიტერატურული ვითარება XIX საუკუნის II ნახევრის საქართველოში..... - გვ 9

თავი II დავით კლდიაშვილის ცხოვრება და მოღვაწეობა .....გვ. 155

თავი III დავით კლდიაშვილის სოციალურ-პოლიტიკურ კრიზისს შეწირული პერსონაჟები.....გვ.343

დასკვნა .....გვ. 56

გამოყენებული ლიტერატურა გვ.58

შესავალი

ქართული ლიტერატურის განვითარების ისტორიაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა დიდმ ქართველმა მწერალმა დავით კლდიაშვილმა. პროზაიკოსის ლიტერატურული მემკვიდრეობა მრავალმხრივ საინტერესო და მნიშვნელოვანია ყველა დროის მკითხველისათვის მასში წარმოდგენილი აქტუალური საკითხებისა და მხატვრულ-გამომსახევლობითი საშუალებების გათვალისწინებით. ქართული მხატვრული ლიტერატურის რეალიზმის ტრადიციების გაგრძელების პარალელურად, ქართველ მკითხველს შესთავაზა მაღალმხატვრული ღირებულების ფსიქოლოგიური მოთხრობები, განვითარების უმაღლეს რანგში აიყვანა სოციალური ხასიათი მოთხრობა. მან ეს იმ დროისათვის უჩვეულო ხერხის გამოყენებით შეძლო - უარი თქვა წარსულის გაიდეალებაზე და რომანტიკულ ფერებში წარმოსახვას რეალისტური ისტორიზმის პრინციპი ამჯობინა.

ამდენად, დავით კლდიაშვილის შემოქმედების განხილვა მრავალი საინტერესო კუთხით შეიძლება. იგი მეტად საინტერესო პერსონაჟთა სამყაროში გამოგზაურებს, მათ ტრაგიკომიკურ ცხოვრებას გაზიარებს და თან დაგანახებს, თუ რა რთულ პირობებში ცხოვრობდა ქართველი კაცი საუკუნეთა გზაგასაყარზე და თავის გადარჩენისთვის როგორი გზა აირჩია.

დავით კლდიაშვილის პერსონაჟები ძირითადად აზნაურის სახელით გვევლინებიან, ასევე მათ გვერდით არიან გლეხებიც, ჩვეულებრივი მაცხოვრებლებიც, მაგრამ, საერთო ჯამში წარმოდგენილნი არიან ერთ, სწორ, ნაცრისფერ ხაზზე მდგარი ადამიანები ერთი, დიდი საერთო თვისებით - ეგოიზმი. რეალობას, რომლის წინაშეც ამ პერიოდის ქართველი ხალხი დგას, სავსებით დიდი წინაპირობა უდგას. ეს არ აიხსნება მხოლოდ პოლიტიკური ვითარებით, ან დიდი სოციალური პრობლემებით, ფაქტია, რომ ადამიანებიც შეიცვალნენ და სწორედ, ამან გამოიწვია დიდი სოციალური რყევები.

დავით კლდიაშვილის შემოქმედებას გასდევს „შემოდგომის აზნაურთა“ ყოფის აღწერა, რომელიც მისი თითქმის ყველა ნაწარმოების მთავარი თემაა. აღსანიშნავია, რომ აზნაური - „აზნა“ საბუძველს იღებს სპარსეთში და აღნიშნავს წარჩინებულ ადამიანს. თუმცა აზნაურები, როგორც სოციალური ფენა მხოლოდ საქართველოსთვის იყო დამახასიათებელი და სხვა ქვეყნის ისტორიოგრაფიაში მსგავსი მოვლენა არ იკითხება. ფენის სტატუსს რაც შეეხება, ისინი იყვნენ ადამიანები გლეხობასა და თავადებს შორის. ფლობდნენ მამულებს და ჰქონდათ სხვადასხვა შრომით საქმიანობებში ჩართვის უფლება, თუმცა ძირითადი, რაც მათ გლეხობისგან გამოარჩევდა იყო პირადი თავისუფლება, მაგრამ ესეც ხანმოკლე აღმოჩნდა მათთვის და რეალობა, რომელშიც ისინი აღმოჩნდნენ ძალიან კარგად არის ასახული დავით კლდიაშვილის შემოქმედებაში.

პირველად, ტერმინი „შემოდგომის აზნაური“ გაჟღერდა მოთხრობაში - „ქამუშაძის გაჭირვება“. გაღატაკებული ფენისთვის ამ ტერმინით მოხსენიება გულისხმობდა გასაჭირში მყოფ, უვიც აზნაურებს, რომლებიც თავიანთ წოდებას მხოლოდ მოსავლის აღების დროს - შემოდგომაზე იბრუნებენ.

კიდევ ერთი, მნიშვნელოვანი საკითხი, რაც აუცილებლად უნდა ვახსენოთ არის დავით კლდიაშვილის სიყვარული თავისი გმირებისადმი. როდესაც დავითის ცხოვრებისა და მოღვაწეობის გზას გადავხედავთ, შევნიშნავთ, რომ თავისი სიყმაწვილისა და ზრდასრულობის ძირითადი წლები იმერეთისგან მოშორებით აქვს გატარებული. ლოგიკურია, გვებადება კითხვა, თუ როგორ მოახერხა ასე შორი მანძილიდან, ასეთი რთული ცხოვრების წლებში სისხლით-ხორცამდე ჰქონოდა გამჯდარი იმირელთა ცხოვრება, საინტერესოა, როგორ შეძლო ამდენი მცირე დეტალის შემჩნევა, რომლითაც დახუნძლულია მთელი თავისი შემოქმედება. აღნიშნული საკითხის ლოგიკური გაგრძელება იქნება სერგო კლდიაშვილის - დავით კლდიაშვილის შვილის სიტყვები: „მწერალმა უკვე ბავშვობიდანვე შეისრუტა თავის არსებაში ის ჰაერი, რომლითაც სუნთქავდნენ მომავალში მისი მოთხრობების გმირები და გულმა მაშინვე იგრძნო ყველაფერი ის, რაც შემდეგ უფრო ნათლად დაინახა თვალმა“ (კლდიაშვილი,1930: 8).

დავით კლდიაშვილი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, თავისი სამწერლობო სპეციფიკიდან გამომდინარე არ კარგავს ინტერესს და შესაბამისად, **თემის აქტუალობაც** ამან განაპირობა. პერსონაჟების წარმოსაჩენად, რომლებიც XIX საუკუნის საქართველოში მიმდინარე სოციალურმა ვითარებამ შეიწირა. სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობისას გამოყენებულია ისტორიულ-შედარებითი მეთოდი, რომელიც გვიჩენებს უმწეო მდგომარეობაში მყოფი აზნაურებისა და გლეხების ტრაგიკულ სულისკვეთებას.

სამაგისტრო ნაშრომი შედგება შესავლის, სამი თავის, დასკვნისა და გამოყენებული ლიტერატურისაგან.

თავი I. სოციალურ-პოლიტიკური და კულტურულ-ლიტერატურული ვითარება XIX საუკუნის II ნახევრის საქართველოში

ქართველი ხალხის ისტორიოგრაფიაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს XIX საუკუნის მეორე ნახევარს, სოციალურ-პოლიტიკურ და კულტურულ-ლიტერატურულ ვითარებას. ამ პერიოდის რეალობის წარმოსაჩენად, ასევე მნიშვნელოვანია საუკუნის დასაწყისი. ქვეყნის რეალობა შეცვალა მეფის რუსეთის დამპყრობელურმა პოლიტიკამ. საქართველოს სუვერენიტეტი და სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა ისტორიის კუთვნილება გახდა. ეკლესიის ავტოკეფალიაც აღიგავა პირისაგან მიწისაგან. ქვეყანას ერთმოწმუნეობამ არ და ვერ უშველა. მაჰმადიან დამპყრობლებს არ უძალადიათ ასე საშინლად, ყოველ შემთხვევაში, ქართული ეკლესია ჟამთა სიავის მიუხედავად, დამოუკიდბლობას ინარჩუნებდა.

ტრადიცია არ დარღვეულა და ამჯერადაც დაუნდობელი ბრძოლა დაიწყო ეროვნული ღირებულებების წინააღმდეგ. ქართველობის იდენტობის მატარებელი ფასეულობანი მტრის რისხვის ობიექტად იქცა. დამყრობელს სადაც შეეძლო და როგორ შეეძლო, ისე უსწორდებოდა ყოველივეს ქართულს. აღარავინ დარჩენილა საქართველოში სამეფო ოჯახის წევრთაგან, ვინ მაჰმადიან ქვეყანაში, უცხო მიწაზე დალია სული და ვინ რომანოვების სასახლეში. სრულად ჩამოაშორეს ბაგრატიონები ქვეყნის სათავეს და მართვის სადავეები თავადვე მიისაკუთრეს.

მშვიდი ცხოვრების მომლოდინე ქართველობა საშინელი სოციალურ-პოლიტიკური რეალობის წინაშე აღმოჩნდა. ასევე დაიძაბა კულტურული ვითარებაც. ყოველივე ქართული იდევნებოდა, ქართული ენა ხომ ისე შეავიწროვეს რუსმა ჩინოვნიკებმა, რომ მალე ქართველთაგანაც კი დაუცველი დარჩა. რუსთა მიერ დაკნინებულ, დამცირებულ მშობლიურ ენას კიდევ უფრო მეტად ჯიჯგნიდნენ დიდების მოსურნე ვაიქართველები. ყოველივე და ყველაფერი ქართული თანდათან

კვდებოდა და ნადგურდებოდა. რომ არა სამოციანელების ასპარეზზე გამოსვლა, ადვილი წარმოსადგენია როგორ დამთავრდებოდა მეფის რუსეთის ცნობილი მოწოდება „გათიშე და იბატონე“.

ქვეყანაში არ დარჩენილა პრობლემატური საკითხი, ღირსეული მამულიშვილების ხელი რომ მიწვდენოდა. უყურადღებოდა არავინ და არაფერი რჩებოდათ. აყვავებული ქართული სიტყვაკაზმული მწერლობა სათავეში ექცევა და ქვეყნის განვითარების ახალ, ისტორიულ პროცესს იწყებს. ილია ჭავჭავაძეს გვერდს უმშვენებენ აკაკი წერეთელი, ვაჟა-ფშაველა, იაკობ გოგებაშვილი, გიორგი წერეთელი, ნიკო ნიკოლაძე, კირილე ლორთქიფანიძე, და თავდადებული, ღირსეული მამულიშვილები. მათ რიგებში ვხედავთ საუკუნის დასასრულს დავით კლდიაშვილს.

მათი თავდაუზოგავი და თავგანწირული მოღვაწეობით ქვეყანაში მკვიდრდება ეროვნული და დემოკრატიულ იდეები, სიახლეებს ფართოდ გაუღო კარი მხატვრულმა ლიტერატურამ, კულტურამ... ყველანი გრძნობდნენ, რომ გადარჩენის გზა სოციალური რადიკალიზმსა და პატრიოტული სულისკვეთების გაღვიძებაში იყო. ამ ბრძოლაში მედროშის მისია პირნთლად შეასრულა კრიტიკულმა რეალიზმმა. ამ უკანსკნელმა ხომ საოცარი სიზუსტით, სიღრმითა და მიუკერძოებლობით დაანახა სრულიად საქართველოს იმ დროისათვის არსებული ეროვნული სინამდვილე, ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის პრინციპულობა და მათ მიერ დანერგილი ეპოქალური ხასიათის დემოკრატიული, პროგრესული იდეანი. ასევე, სამოციანელების სახელს უკავშირდება ქართული საზოგადოებრივი აზროვნების გამოფხიზლება და განვითარების ხელშეწყობა, მოქალაქეობრივი უფლებების დამკვიდრება, მებრძოლი, კრიტიკული პუბლიცისტიკისათვის დიდი მნიშვნელობის მინიჭება.

თერგდალეულებს ყურადღების მიღმა არ დარჩენიათ სახალხო იდეებიც, ისინი თავდაუზოგავად იცავდნენ გლეხების უფლებებს, გზას უკვალავდნენ უკეთესი ცხოვრებისას. მალე შესამჩნევი გახდა არათუ დაბალი სოციალური წრის წარმომადგენელთა ეკონომიკური პრობლემები, არამედ ფეოდალური

არისტოკრატიის ფინანსური კრიზისიც. ბატონყმობის გაუქმებასა და კაპიტალიზმის განვითარებას თან მოჰყვება მათი ეკონომიური გაღარიბების შეუქცევადი პროცესი. ბურჟუაზიული საზოგადოება ძლიერდება.

რუსეთის იმპერატორმა ალექსანდრე მეორემ იძულებით გაატარა ე.წ. რეფორმა და იმთავითვე ცხადი გახდა მისი რეალური სახე. გლეხი ისევ ბატონის ყმად დარჩა და მისი ნება-სურვილის შესრულების იქით გზა არ ჰქონდა. პროგრესულად მოაზროვნე სამოციანელებმა დაიწყეს მათი უფლებების დაცვა არა მხოლოდ კალმით, არამედ პოლიტიკური და იურიდიული ბერკეტების გამოყენებით. შედეგად საზოგადეობის გამოფხიზლება და ბატონყმობის წინააღმდეგ ბრძოლა მოჰყვა.

მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევრის ქართულ მხატვრულ ლიტრატურაში ზემოთ როგოც უკვე აღვნიშნეთ, სოციალური მოძრაობა მნიშვნელოვნად იყო კავშირში ეროვნულ-განმათავისუფლებელ ბრძოლასთან. სამოციანელები ყველაფერს აკეთებდნენ იმისათვუს, რომ ქართველებში მამულიშვილური პასუხისმგებლობა, ეროვნული თავმოყვარეობა და ღირსება გაეღვიძებინა. სხვაგვარად ქვეყანა კრიზისიდან ვერ გამოვიდოდა. ქვეყნის პოლიტიკური გათავისუფლება ეროვნულ-რევოლუციური გზით წარმოედგინათ მხოლოდ. ამ შეხედულების ჩამიყალობებაზე ბუნებრივია, ზეგავლენას ახდენდა დემოკრატიული ქვეყნების გამოცდილება. ილია ჭავჭავაძემ თავის პერსონაჟს „მგზავრის წერილებში“ თავისი ეროვნულ-პოლიტიკური განთავისუფლების კონცეფცია გაახმოვანებინა: „ადრიდა, ავად თუ კარგად, ჩვენ ჩვენი თავნი ჩვენადვე გვეყუდნეს, მით იყვის უკედ“. თერგდალეულთა წარმოდგენით, ქვეყნის განმათავისუფლებელ მოძრაობას წარმატებას მხოლოდ სახალხო გმირის დაბადება მოუტანდა.

მოკლედ, ყოვლისმომცველი იყო სამოციანელთა საქმიანობა და სამოღვაწეოს ასპარეზი. „თერგდალეულები დაუღალავ მოღვაწეობას ეწეოდნენ ქართველი

საზოგადოების პროგრესული განვითარებისათვის; აწყობდნენ სკოლებს, ბიბლიოთეკებს, აყალიბებდნენ ქართული წიგნის მბეჭდავ და გამავრცელებელ ჯგუფებს, აწყობდნენ ლიტერატურულ საღამოებს და დისკუსიებს. დიდი ღვაწლი მიუძღვით მათ ქართული თეატრალური ხელოვნების განვითარებაში“ (ქართული ლიტ, ისტ, ტ.IV. 197:27).

ამდენად, მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევრის, კონკრეტულად, 60-70-იანი წლები მეტად ნაყოფიერი, მნიშვნელოვანი და საეტაპო ხასიათის პერიოდია არა მხოლოდ სიტყვაკაზმული მწერლობის, არამედ, სრულიად საქართველოს განვითარების თვალსაზრისით. სწორედ, ამ წლებმა განსაზღვრა შემდგომი პერიოდის მიღწევები ყველა სფეროში.

- „ამ ხანამ ტონი მისცა გასული საუკუნის ჩვენი კულტურის განვითარებას, განსაზღვრა მისი განვითარების მაგისტრალური ხაზი. თერგდალეულთა მოღვაწეობამ ქართველი ხალხის ახალ ისტორიაში შექმნა მთელი ეპოქა, რომელთანაც დაკავშირებულია იმ დროის მოწინავე იდეების გავრცელება ქართულ სინამდვილეში და ნაციონალურრევოლუციური მოძრაობისა და განმანათლებლობის საუკეთესო ტრადიციები. ამ დროს ჩამოყალიბებულმა კრიტიკული რეალიზმის ქართულმა სკოლამ პასუხი გასცა ქართველი ხალხის ცხოვრებასთან და ისტორიულ ბედთან დაკავშირებულ არსებით საკითხებს და საპატიო ადგილი დაიჭირა ჩვენი კულტურის ისტორიაში“ (ქართული ლიტ, ისტ, ტ.IV. 197:27).

მეცხრამეტე საუკუნის 80-იანი წლები ქართული მხატვრული ლიტერატურისათვის განსხვავებული ხანის დასაწყისია, ალექსანდრე ყაზბეგისა და ვაჟა-ფშაველას სამწერლობო ასპარეზზე დამკვიდრებით საფუძელი ჩაეყარა მხატვრულ-გამომსხაველობითი საშუალებების განახლებასა და გამრავალფეროვნებას. ასევე მათ გვერდით გენიალურ ქმნილებებს ჰმატებენ ართულ მწერლობას ილია და აკაკი, ბრძოლას განაგრძობენ აქტიურად ქვეყნის წინსვლისათვის თერგდალეულთა დასის სხვა წევრებიც – ნიკო ნიკოლაძე, გიორგი წერეთელი, კირილე ლორთქიფანიძე, სერგი მესხი. ასევე იპყრობენ მკითხველთა ყურადღებას ხალხოსანი მწერლებიც.

სხვა პერიოდი იწყება პოლიტიკურ არენაზეც. ალექსანდრე მეორის მოკვლელობას მეფის რუსეთის დამპყრობელური რეჟიმის მეტად გამკაცრება მოყვება. საშინელი და გაუსაძლისი პოლიტიკა გარუსებისა ხალხის დამონების ნაცვლად მათ გააქტიურებას იწვევს. საქართველოში აქტიურ ფაზაში გადადის ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლა 80-იანი წლებიდან. კიდევ უფრო აქტიურდება ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება, ქართული წიგნის გამომცემელი ამხანაგობა, ქართული თეატრი, პერიოდული გამომცემლობა და სხვ.

მეცხრამეტე საუკინის სამოცდაათიანი წლებიდან ქართველი ინტელიგენციის წარმომადგენლებისათვის იმედის მომცემი აღმოჩნდა ხალხოსნური მოძრაობა. აქტიურად დაიწყეს ამ უკანასკნელის მხარდაჭერით ბრძოლა და ეს პატიმრობად, გადასახლებად და კატორღად დაუჯდა. თუმცა ეს არ გამხდარა მათი დამორჩილების მიზეზი. ქართველი სამოციანელები 80-იან წლებშიც განაგრძობენ ბრძოლას რუსიფიკატორული პოლიტიკის დასამარცხებლად. ბუნებრივია, ეს ყველაფერი ცხოვლად აისახებოდა სიტყვაკაზმულ მწერლობაში, პრესასა და თეატრში. განსაკუთრებულ ზრუნვას საჭიროებს ისევ და ისევ მეფის რუსეთის მიერ დევნილი ქართული ენა, ეროვნების უმნიშვნელოვანესი და უმტკიცესი ბალავარი. ბრძოლის ნაცადი გზები შეცვალა ახალმა თაობამ. ამის ნაწილი იყო თბილისის სასულიერო სემინარიის კაცთმოძულე რექტორის, ჩუდეცკის მკვლელობა. იოსებ ლაღიაშილმა ვეღარ აიტანა მისი დესპოტური მმართველობა და ხანჯლით გაუსწორდა. საზოგადოება, მთელი ქართული პრესა, დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ამ ფაქტს, თანაუგრძნობდა. პროგრესულად მოაზროვნე საზოგადოების აღშფოთებას საზღვარი არ ჰქონდა, როცა რეაქციონერმა ეგზარქოსმა პავლემ დასწყევლა იოსებ ლაღიაშვილი ქართველ ხალხთან ერთად. ღვაწლმოსილმა პატრიოტმა დიდიტრი ყიფიანმა ამოიღო უსამართლობის წინააღმდეგ ხმა და მომხდარი საპროტესტო წერილით დაგმო - ქართველი ხალხის მოძულე ეკლესიის მეთაური ამხილა. ცხადია, არ აპატიეს გმირს ვაჟკაცობა და მთავარმართებელმა დუნდუკოვ-კორსაკოვმა მმართველ ეშელონებში დააბეზღა, რასაც მისი . ქუთაისის თავადაზნაურობის მარშლის თანამდებობიდან

გადაყენება და სტავროპოლში გადასახლება მოჰყვა. დიმიტრი ყიფიანის დასჯა ამისთ არ დასრულებულა, იგი 1887 წლის 24 ოქტომბერს ვერაგულად გამოასალმეს სიცოცხლეს. წანებული დაკრძალვა ოთხმოციანი წლების ეროვნულ-რევოლუციური მოძრაობის მანიფესტად იქცა. დიდი ილია მამულიშვილების უპირველეს ამოცანად ისევ ქვეყნის გათავისუფლებასა და განვითარებას უსახავდა. მას ეროვნული პრობლემების მოგვარება უპირველესად მიაჩნდა. ამ ბრძოლაში ყველა წოდების გაერთიანებას სასიცოცხლო მნიშნელობას ანიჭებდა.

სამოციანელები თავიდანვე დიდი მოწონებით შეხვდნენ საგლეხო რეფორმას, „მაგრამ 70-იანი წლების მეორე ნახევრიდან (1876-77 წლებიდან), როცა რევოლუციური ხალხოსნური მოძრაობა საქართველოში მარცხს განიცდის, ცარიზმი კიდევ უფრო ავიწროებს ჩაგრულ ხალხებს. ამ დროს თერგდალეულები ყურადღებას ამახვილებენ ეროვნულ კონსოლიდაციაზე და კვლავ მომავალი გამარჯვების გეგმებს აწყობენ. ი. ჭავჭავაძე 1876 წელს "დროებაში" ბეჭდავს თავის პირველ ტრაქტატს "მთლიანი ერის" თეორიაზე, სათაურით "ზოგიერთი რამ", სადაც იგი ასეთ აზრს ავითარებს: ამჟამად საქართველოში არ არის ეროვნული მთლიანობა და თუ გვინდა ეროვნული თვითარსებობის შენარჩუნება, თუ არ გვსურს ეროვნული სიკვდილი, ეს დარღვეული მთლიანობა უნდა აღდგეს. ყველა კუთხის, ყველა წოდების ქართველმა, პირველ ყოვლისა, ქართველობა უნდა დაისახოს სასიქადულო საქმედ. საქართველოს განმტკიცების ინტერესები ითხოვს არა კლასთა შორის ბრძოლას, არამედ მათ შორის მეგობრობის დანერგვას, კლასობრივი დაპირისპირების მიზეზების აღმოფხვრას (ქართ.ლიტ. ისტ.ტ.IV, 1973:370).

თერგდალეულები ამიტომ ბატონყმობის წინააღმდეგ გამოდიან, რეფორმის შემდეგ კი ახალ ვითარებაში გაჩენილ კლასობრივ-წოდებრივ პრობლემათა აღმოსაფხვრელად იღვწიან. აღიარებენ რევოლუციის მნიშვნელობას, მაგრამ არა საართველოსთან მიმართებაში. ფიქრობენ, რომ ქართულ რეალობაში კლასობრივი განსხვავებანი და ჩაგვრანი დამარცხდება რევოლუციის გარეშე, მშვიდობიანი გზით.

თავი II. დავით კლდიაშვილის ცხოვრება და მოღვაწეობა

დავით კლდიაშვილმა თავისი ცხოვრებისა და მოღვაწეობის წლები აღწერა მემუარულ ნაწარმოებში „ჩემი ცხოვრების გზაზე“, რომელიც უსათუოდ არის შედევრი ქართულ მემუარულ პროზათა შორის. შესავალშივე ამცნობს მკითხველს იმ მიზეზს, რის გამოც შექმნა აღნიშნული ნაწარმოები: „ეს მოგონება იწერება იმ მოსაზრებით, რომ რომელიმე მკვლევარმა ჩვენი წარსული ცხოვრების სურათის დასახატავად შეიძლება ამ სტრიქონებშაიც იპოვოს გამოსადეგი რამ მასალა. თუ ეს ასე იქნა, მაშინ ამის დაწერაც გამართლებული იქნება და დამწერიც დიდად დაკმაყოფილებული.“ (კლდიაშვილი, 1984:2).

დავით კლდიაშვილი დაიბადა იმერეთის სოფელ სიმონეთში, 1862 წლის 11 სექტემბერს. მისი ოჯახი წარმოადგენდა გაღატაკებულ აზნაურთა ოჯახს. ბაბუა საკმაოდ ადრე გარდაეცვალა, დაობლებულ სამსონს კი მეზობელი გლეხი დათიკა გიორგაძე პატრონობდა, მან დაასრულებინა ქუთაისის ორკლასიანი სასწავლებელი, ასევე ხელი შეუწყო, ემუშავა სამაზრო სამმართველოში გადამწერის თანამდებობაზე. თუმცა არც სამსონს გაუცრუებია იმედი დათიკასთვის, თავისი თვისებებით იმდენი შეძლო, რომ მებატონის გული მოიგო და მისი ერთადერთ ქალიშვილის ხელი ითხოვა, რომელსაც საჩუქრად მიწა, სამოსახლო, საყანე უბოძეს. მისი მზითვის ფულიც საჭიროებისამებრ დაახარჯვინეს და ერთიანობაში დავითის დედულეთმა გაუმართა ხელი ობოლ სამსონს. მათ გვერდით განაგრძობდა ცხოვრებას გლეხი დათკა, რომელმაც პირნათლად შეასრულა თავისი საქმე და სანამ ცოცხალი იყო, ყურადღება არ მოუკლია ამ ოჯახისთვის.

სამსონი მეტად უცნაური და კოლორიტული პიროვნება ყოფილა – მომლხენი, ჭკვიანი, მოხერხებული და თავისქეიფა. ერთხელ, ქუთაისში, ბულვარში სასეირნოდ გამოსულს თავისი ყოფილი უფროსი დაუნახავს, რუსი ჩინოვნიკი, რომელმაც სამსონი სამსახურიდან გაათავისუფლა. დასტაკებია აზნაური კლდიაშვილი ჩინოვნიკს, ამოუდია ფეხქვეშ, ყვირილზე პოლიცია გამოქცეულა, მაგრამ სამსონი

თვითონაც წაქცეულა, მიბეგვილი უფროზი ზემოდან შემოუგდია და ახლა თვითონ მოურთავს ყვირილი, არიქა მიშველეთ, მომკლაო. საჩივარიც იქით აღუძრავს ,,დაზარალებულ“ სამსონს და მისი ყოფილი უფროსი ქუთაისიდან გაუძევებიათ...

ქუთაისში სამსონს ვაჭრები მოუმდურებია, ისინი დაემუქრენ და აზნაურმა კვლავ ხერხი მოიშველია. ქუთაისის მთელი დიდი ჩინოვნიკობა და თვით გუბერნატორიც თავისი კანცელარიით საქეიფოდ დაპატიჟა, დიდი ლხინი გადაიხადა. როცა შუა ქეიფში იყვნენ, კაცები გაგზავნა მომდურავ ვაჭრებთან, გუბერნატორი სასწრაფოდ გიბარებთო. ვაჭრები მივიდნენ და ხედავენ – ღვინონასვამი გუბერნატორი სამსონს ეხვევა. ამის შემდეგ ვაჭრებმა ისევ შერიგება არჩიეს... მრავალი ასეთი უცნაური და სამხიარულო ამბავი გადახდენია აზნაურ სამსონ კლდიაშვილს.

დავით კლდიაშვილმა თავისი ბავშვობის ძირითადი ნაწილი დედულეთში გაატარა, დედამისის მამა ჯერ კიდევ შეძლებული აზნაური იყო და თავის მოგონებებშიც ყველაზე ნათლად სოფელ სიმონეთისა და ხომულის გლახაკთა სახეებია, რომლებიც მოგვიანებით თავის შემოქმედებაში გამოჩნდნენ და მნიშვნელოვანი ადგილიც დაიკავეს. რთული რეალობის მიუხედავად, არასდროს დაუკარგავთ ერთმანეთის სიყვარული, არ მოუკლიათ ზრუნვა ოჯახებსა და ირგვლივ მყოფ ხალხზე, რამაც ხელი შეუწყო დავით კლდიაშვილიც ასეთ ადამიანად ჩამოყალიბებულიყო. როგორც თავად იხსენებს: „ამ სიყვარულობიანობის წყალობით ჩემი გულიც ადამიანის სიყვარულს ეჩვეოდა და სწავლობდა“ (კლდიაშილი, 1984:11).

დავითის დედა, კესარია იყო შეძლებული აზნაურის ნიკო ღოღობერიძის ასული, სოფელ ხომულიდან. პატარა დავითს წერა–კითხვა დედამ შეასწავლა. მარჯვე დიასახლისი და გულისხმიერი ადამიანი თავის გარშემო იკრებდა მეზობლებს, განსაკუთრებით, გლეხკაცობას. მომავალი მწერლის ბავშვობის შთაბეჭდილებანი სწორედ ამითაა გალამაზებული. დავითს დედა გარდაეცვალა 1908 წელს. მამამისმა მეორე ქალი შეირთო, რის გამოც დავითს ერთხანს მამასათან ურთიერთობა გაუწყვეტია. მწერალს ეხუმრებოდნენ თურმე, ,,სამანიშვილის დედინაცვალი“ საკუთარ თავს უწინასწარმეტყველეო (თვით სამსონი 1923 წელს გარდაიცვალა.).

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, დავითის განათლება დედის სწავლებით დაიწყო, მოგვიანებით კი რუსი ცოლ-ქმარის ოჯახში გაგრძელდა, რადგან რუსული ენის ცოდნა საჭირო იყო. პატარა დავითს თავდაპირველად ძალიან გაუჭირდა ამ ოჯახში გაჩერება, თუმცა მშობლების მონდომებითა და მოსიყვარულე მასწავლებლის დამსახურებით, აღარ უძნელდებოდა ეს პროცესი. დიდი სიყვარულით იხსენებს ამ ოჯახს, იაკობ ივანიჩსა და მის მეუღლეს - ვარვარა ნაუმოვნას. იაკობ ივანიჩის წყალობით არათუ ეზარებოდა, დიდი ხალისით ჯდებოდა სასწავლებლად. მოგვიანებით, სწავლის ხალისი არ დაუკარგავს, თუმცა დაკარგა მოსიყვარულე მასწავლებელი. მრევლოვის მოსამზადებელ სასწავლებელში ყველას თავზარს სცემდა მღვდელი ზებედოვი, რომელიც, როცა ფიცხდებოდა, ყველას ერთიანად უჯავრდებოდა. დავითის თქმით, საბედნიეროდ მას არ მოხვედრია ზებედოვის სახაზავი, მხოლოდ იმ მიზეზით, რომ მისგან მოშორებით, კლასის ბოლოში იჯდა.

ცხოვრების ახალი ეტაპი იწყება მაშინ, როცა 9 წლის დავითი მიემგზავრება რუსეთში სასწავლებლად. საბედნიეროდ იდეალური აღმზრდელი შეხვდა და ისე თბილად ექცეოდა, როგორც მამა შვილს. მაგრამ, მეორე აღმზრდელის ქცევა და ყოველ შეხვედრაზე ტატარჩუკის წამოძახება ერთიანად ასევდიანებდა.

სამი წელი მშობლებისა და სამშობლოს გარეშე გაატარა. მხოლოდ სამი წლის შემდეგ შეძლო დავით კლდიაშვილმა სამშობლოში დაბრუნება. სამშობლოში, სადაც აღარავისი ესმოდა. თარჯიმანის საშუალებით ელაპარაკებოდა ყველას. მთელი ზაფხული საქართველოში გატარების შემდეგ შეძლო ენის გახსენება. შემდგგომ, კვლავ ბრუნდება რუსეთში, უკვე ქართული წიგნებით, მოტივაციით. რუსეთშიც კი ქართულ ამბებს კითულობდა, ენციკლოპედიებს ეცნობოდა და დიდი სიხარულით უზიარებდა ამ ამბებს თანატოლებს, თუმცა გულდაწყვეტილი იყო, რომ მასავით არავინ ინტერესდებოდა. იმედგაცრუებამაც არ გასტანა დიდხანს და იგი შეხვდა ნიკო ლომოურს, რომლის წყალობითაც მშობლიური ლიტერატურის საუკეთესო ნიმუშები გაიცნო.

კიევის გიმნაზიაში სწავლა დავით კლდიაშვილმა 1880 წელს დაასრულა და გადავიდა მოსკოვის სამხედრო სასწავლებელში. აქ უკვე სწავლასთან ერთად

მუშაობასაც იწყებს. სასწავლებელს თავიდანვე მოუხდენია ცუდი შთაბეჭდილება და რადგან გამზიარებელი არავინ ჰყავდა, წერა დაუწყია. გულადუღებული წერდა, წერდა და ასე შეავსო რვეული მისი ყოველდღიურობის გაზიარებით. ერთ დღესაც მოუწია ყველა წიგნისა და რვეულის ჩვენება გუნდის ოფიცერისთვის, რა თქმა უნდა, დავითის ჩანაწერები სასაცილოდ არ ეყოთ და არც დაუბრუნებიათ უკან. ეს უკვე მეორე ფაქტი იყო ახალგაზრდა დავითის ცხოვრებაში, როცა წერა დაუძრახეს. პირველად, ორი წლის ასაკში დაწერა, რუსულად, ამ დროს ქართული უკვე დავიწყებული ქონდა და როცა ეს მოთხრობა აღმზრდელს ჩაუვარდა ხელში, მწარედ დასცინა. ურჩია, ამ სისულეების წერისთვის თავი დაენებებინა და მორჩილმა დავითმაც შეისმინა აღმზრდელის დარიგება. ასევე დაემორჩილა გვარდიის ოფიცერის რჩევას.

ორი წლის შემდეგ, 1882 წელს დაასრულა სამხედრო სასწავლებელი და დაბრუნდა საქართველოში. ამავე წელს პირველად ჩავიდა ბათუმში, სადაც პოდპორუჩიკის წოდებით დაიწყო მსახურება. ცხოვრების დიდი ნაწილიც ბათუმში ყოფნასა და სამხედრო არმიაში მსახურებას დაუთმო, მაშინ, როცა მოწოდებით მწერალი და ერისკაცი იყო.

ბათუმში ჩასული ახალგაზრდის თვალწინ გადაიქცა პორტო-ფრანკო ერთ-ერთ უმნიშნელოვანეს ნავსადგურად. საერთოდ არ ყოფილა მარტივი ამ პირობებში თავის გატანა, ქალაქზე ზრუნვა და პიროვნული თვისებების შენარჩუნება. დიდი ზეწოლის მიუხედავად დავით კლდიაშვილმა შეძლო ამ ყველაფერს გამკლავებოდა, რა თქმა უნდა, იმ ადამიანების დახმარებითაც, რომლებიც მის ირგვლივ ჩნდებოდნენ. ბათუმში ჩასვლისას, ყმაწვილი ოფიცერიც, პირველად ჟურულების ოჯახში მოახვედრეს, სწორედ ქეთევან ჟურულმა დაიწყო ზრუნვა დავითის ქართულ განათლებაზე. XIX საუკუნის II ნახევარში წერა-კითხვის გამავრცელებს საზოგადოებასთან ერთდ დურმიშხან ჟურულის ოჯახი აქტიურად იყო ჩართული ბათუმში სკოლის ფუნქციონირების საკითხებში.

ქეთევან ჟურული, გარდა იმისა, რომ მშობლიურ ენას ასწავლიდა დავითს, ასევე მის ჩართვას მოითხოვდა სხვადასხვა საერო აქტივობაში. მაგალითად

სპექტაკლები. პირველად და უკანასკნელად ითმაშა დავით კლდიაშვილმა გიორგი ერისთვის „სამშობლოში“. მიუხედავად დიდი ენთუზიაზმისა, მონდომებისა და მომზადებისა სპექტაკლში, დროზე ადრე შეიჭრა, სხვა მსახიობებმა კი მოახერხეს სპექტაკლის გადარჩენა, მაგრამ დავითისთვის კი გამოდგა სიბრიყვე და როგორც თვითონ ამბობს, ამის შემდეგ აღარ გაკარებია სცენას. თუმცა მუდამ გვერდში ედგა ამ არტისტთა საზოგადოებას. დიდი სიხარულით იხსენებს იმ პერიოდს, როცა ზაფხულობით ბათუმში ჩამოსული დასის მსახიობებს იცნობდა. სწორედ, ამ დროს გაიცნო სანდრო ყაზბეგი, სწორედ მასთნ ერთად ითამაშა „სამშობლოში“ და სწორედ ეს ადამიანი და მისი შემოქმედება იყო, რაც ასე აოცებდა დავითს. ამ დროს სანდრო უკვე მოხუცებული იყო, ცოტათი მოხრილიც და საერთო ჯამში, თავისი გარეგნობით ვერანაირ შთაბეჭდილებას ვერ მოახდენდა, ვერც კი მიხვდებოდი თუ ერთ დროს ნამდვილად შნოიანი, კოხტა ყმაწვილი იყო. საუბრითაც ვერ გამოარჩევდი, იმდენად ვერ - რომ არავის სჯეროდა თუ „ელგუჯას“ ავტორი ეს მოხუცი იყო.

ხშირად იტყოდნენ, რომ სხვისი ნაშრომები აქვს საკუთარი სახელით გამოქვეყნებულიო, მაგრამ დავითმა დაიჯერა. „განკიცხულის“ წაკითხვის შემდეგ მისწერა წერილი ალექსანდრე ყაზბეგს, მანაც წერილით უპასუხა: „ნეტა შენისთანა თანამგრძნობი შემატებულად მყავდესო“ (კლდიაშვილი, 1984: 25). საკითხავია, ამ მიმოწერით დავითმა მოახდინა გავლენა სანდროზე, თუ სანდრომ - დავითზე. ფაქტი ერთია, რომ სანდრო ემადლიერებოდა დავითს, დავითისთვის კი ერთგვარ მოტივაციად შეიძლება ჩაითვალოს სანდროს ქმედება, რომელიც დიდი წინააღმდეგობების მიუხედავად, არ წყვეტდა წერას. როგორც ვიცით, დავითს ამ დროისათვის უკვე ორჯერ ქონდა თავი დანებებული სხვათა რჩევით წერაზე.

როდესაც იმ ხალხზე ვსაუბრობთ, ვინც სასიკეთო გავლენა მოახდინა დავითზე, აუცილებლად უნდა ვახსენოთ კაპიტანი სამსონ ნემსაძე, რომელმაც დავით კლდიაშვილს დიდი უბედურება ააცილა თავიდან. ვინაიდან დავითს ორწლიანი სამხედრო სწავლება ჰქონდა გამოვლილი, ახლა სამი წელიწადი უნდა ემსახურა. გადაწყვეტილი ჰქონდა, რომ ამ სამწლიანი მუშაობის შემდეგ შეძლებდა სამხედრო სასწავლებდიდან გასვლას და ცხოვრებას სულ ახალ დარგში მოიწყობდა, გეგმაში

უცხოეთში წასვლაც კი ჰქონდა, მაგრამ როგორც ვიცით ბოლომდე სამხედრო მოსამსახურეობა მოუწია. მანამდე კი იმ სამწლიანი მსახურების დროს შემთხვეული აღვნიშნოთ. კარგი მსახურების გამო მალევე დანიშნეს თანამდებობაზე და თოფ-იარაღის შესაკეთებელი სახელოსნო ჩააბარეს, აქ მომუშავე ხალხი დიდად განსხვავდებოდა გუნდის სალდათებისგან, მაგრამ დავითი მაინც ღირსეულად აგრძელებდა საქმიანობას, მანამ სანამ სრულიად უმიზეზოდ არ გადაეკიდა თავისი უფროსი პოდპოლკოვნიკი გუკოვი, რომელმაც ისეთ მდგომარეობამდე მიიყვანა, რომ სრულიად მოურიდებლად, საჯაროდ გალანძღა დავითმა.

თითქოს დამსახურებულად მიიღო მოხუცებულმა უფროსმა ის რაც მიიღო, მაგრამ ნებისმიერ შემთხვევაში, რა მიზეზითაც არ უნდა მომხდარიყო, უფროსზე ყვირილი ითვლებოდა დანაშაულად, რომლის სასჯელსაც ჩინის ჩამორთმევა და ერთიდან სამ წლამდე ციხე წარმოადგენდა. საბედნიეროდ, დავითს მისი მზრუნველი კაპიტანი ამოუდგა გვერდით, დაამშვიდა და ისეთ მდგომარეობამდე მიიყვანა ეს საქმე, რომ დავითის სასჯელად მხოლოდ ბოდიშის მოხდა აღმოჩნდა საკმარისი.

დავით კლდიაშვილის ცხოვრებისა და მოღვაწეობის გზაზე მუდამ იყო განათლება პრიორიტეტული. საბედნიეროდ, მის ირგვლივ ნელა-ნელა ჩნდებოდა ხალხი, რომლებსაც გულახდილად აწუხებდათ ბათუმელთა პრობლემები და არა მხოლოდ სწუხდნენ, აგვარებდნენ კიდევაც ბევრს. ერთ-ერთი მათგანი იყო ექიმი გრიგოლ ვოლსკი, რომელიც ბათუმის რკინიგზაში მუშაობდა. მასთან ერთად ივანე და სერგეი მესხებმა, ასევე, წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ ფასდაუდებელი შრომა გასწიეს, რომ ჰქონოდათ სწავლის შესაძლებლობა ბათუმელ მუსლიმანებს. პირველი მასშტაბური ღონისძიება, რაც ამ მიმართლებით დაიგეგმა, იყო ნინოობა. საღამო წარმატებით შედგა, ფული იმდენი შემოვიდა, რომ შესაძლებელი გახდა სასწავლებლის მშენებლობა. ამ გადაწყვეტილების მიღების შემდეგ საჭირო იყო ქმედება. ამისათვის დაიბარეს წერა-კითვის გამავრცელებელი საზოგადოების თავმჯდომარის ამხანაგი ნიკო ცხვედაძე, რომელმაც არაჩვეულებრივი სიტყვა წარმოთქვა იქ შეკრებილი საზოგადოების წინაშე. ამ ფაქტს

დავით კლდიაშვილი შემდეგი სიტყვებით ეხმაურება: „კეთილი განზრახვით მიმართული სიტყვა კეთილად დამთავრდა“ (კლდიაშვილი, 1984:54) სწორედ ნიკოს სიტყვებმა უფრო მეტად აღაფრთოვანა ისისნი და დახმარების სურვილი გაუჩინა, ზოგი ფულით, ზოგი სამშენებლო მასალით, ზოგიც ფიზიკური მუშაობით ჩადგა ამ კეთილ საქმეში და მეორე წელსვე დასრულდა მშენებლობა.

ყველა კეთილ საქმეში იყო ჩართული დავით კლდიაშვილი თავისი ცხოვრების მთელი გზის განმავლობაში და არც არავის აძლევდა საშუალებას, რომ ერისთის მავნებლობა გაეკეთებინა. ამის ნათელი მაგალითია მისი დაპირისპირება გაზეთ „ჩერნომორსკი ვესტნიკის“ რედაქტორ პალმთან. აღნიშნული გაზეთი ისედაც ათვალწუნებული ყავდა დავითს, ვინაიდან არა და არ სრულდებოდა ჩვენებურებისადმი სიძულვილის ენა აღნიშნულ გაზეთში, საბოლოო დაპირისპირება კი ყველასათვის საყვარელი და პატივსაცემი მოღვაწე გაბრიელის გარდაცვალების შემდეგ, პალმის მიერ გამოქვეყნებულმა შეურაწმყოფელმა სტატიამ ბერი გაბრიელისადმი, გამოიწვია დავით კლდიაშვილის განრისხება. როგორც ვიცით, წმინდა გაბრიელის გარდაცვალება დაემთხვა უამინდობას და უგზოობას. თითქმის თვენახევარი მოუწიათ მისი დაყოვნება ქუთაისის სობოროში, ვინაიდან არც გზა იძლეოდა საშუალებას გელათამდე გადმოსვენების და მოსახლეობაც ითხოვდა მიეცათ საშუალება, რომ დასწრებოდნენ საყვარელი მოძღვარის გასვენებას. გზები გაიხსნა, ზღვა ხალხი მოვიდა ყველა კუთხიდან, ვინაიდან მან სიცოცხლეშივე, თავისი თავმდაბლობით, უბრალოებითა და ტკბილი საუბრებით შეაყვარა მათ თავი. სწორედ ეს იყო მიზეზი, რომ გაბრიელის გარდაცვალებამ შეძრა მთელი საქართველო, თუმცა უგუნურ ხალხს რა გამოლევს. დავით კლდიაშვილი ძალიან გაბრაზებული ტონით იხსენებს „ჩერნომორსკი ვესტნიკის“ სტატიას ბერი გაბრიელის გარდაცვალების შესახებ, როდესაც ამ „ჭუჭყიანმა გაზეთმა“ „გათახსირებული“ პალმის ხელმძღანელობით აუგად ისაუბრა ბერი გაბრიელის დაკრძალვის ცერემონიაზე.

სტატიაში დასცინოდნენ ხალხის მგლოვიარობას, მსვლელობის მონაწილეებს და ბოლოს ისიც კი დაეწერათ, რომ თითქოს ტერაქტი იყო დაგეგმილი ამ

ხალხმრავლობაში და ფხიზლად მყოფმა მთავრობამ უმალ ჩაახშო იგი. დავითი კანცელარიაში ყოფილა ამ წერილის წაკითხვისას, საშინლად გაბრაზებულმა, მაშინვე დარეკა გაზეთის რედაქციაში და პასუხი მოითხოვა მათი საქციელის გამო. დავითის აღელვებულ საუბარზე კანცელარიაში მოგროვდნენ ოფიცრები და მიზეზის გაგების შემდეგ, სრულებით გაამართლეს მისი ქცევა. რა თქმა უნდა, ეს ამბავი მალევე გავრცელდა. რამდენიმე დღეში დავითი შემთხვევით შეხვდა პოდპოლკოვნიკ დუმბაძეს, რომელმაც იკითხა კანცელარიის ამბავზე და აღსანიშნავია, პოდპოლკოვნიკის რეაქცია ამბის გაგების შემდეგ: „- მეც ასე ვიფიქრე, რომ შენ იქნებოდი!“(კლდიაშვილი, 1984: 62).

დავითის მეამბოხე და სამართლიანი ხასიათი უკვე ყველასთვის იყო ცნობილი, ალბათ, ამიტომაც ებრძოდა პალმი ასე, მან ციხის უფროსს იცის შესჩივლა, რომ პოდპოლკოვნიკი დუმბაძის კანცელარიიდან მაგინებენო. ამასაც არ დასჯერდა პალმი და მეორე დღესვე, კვლავ გამოაქვეყნა წერილი, უშუალოდ დავითის გვარი არ იყო ნახსენები, თუმცა საუბრობდა, თუ როგორ გალანძღეს გაზეთის რედაქტორი. მოთმინების ფიალა ამოეწურა ჩვენს დავითს და პალმი დუელში გამოიწვია. ატყდა ერთი აურზაური, დავითი ციხის უფროსმა გამოიძახა, რათა საქმის ვითარებაში გარკვეულიყო, მან ყველაფერი ზედმიწევნით უამბო და ისიც დასძინა, რომ ზოგადად სისხლის ღვრის წინააღმდეგი იყო, აი პალმის სისხლს კი სიამოვნებით დაღვრიდა. აქვე უნდა აღინშინოს, რომ დავითს კარგი მსროლელის სახელი ქონდა, პალმმა კი საერთოდ არ იცოდა იარაღის ხმარება. გენერალი იუმორით მიუდგა დავითის ბოლო ფრაზას, ისიც აღნიშნა, რომ შეშინებული პალმი მისულიყო მასთან და ვინაიდან არ სცოდნია სროლა, დახმარება უთხოვია ციხის უფროსისგან. როგორც აღნიშნეს, ის უკვე საკმარისად შეშინებული იყო და თუ ბოდიშს მოიხდიდა დავითიც აპატიებდა, ასევე უნდა გამოექვეყნებინა საბოდიშო წერილი თავის გაზეთში. მართალია, ბოდიში მეორე დღესვე მოიხადა ოფიცრებისა და დავითის წინაშე, თუმცა წერილი არ გამოუქვეყნებია.

რა თქმა უნდა, ყველა გააბრაზა ამ საქციელმა, გენერალი კლიუჩევსკიც, მაგრამ პალმი და მისი მომხრეები არ ჩერდებოდნენ. ახლა უკვე გენერლის წინაშეც დაიწყეს

გამოსვლა, რომ ის უწყობდა ხელს ქართელებს რუსების წინააღმდეგ ამხედრებაში. გენერალმა სთხოვა დავითს, რომ ერთ თვით აეღო შვებულება და წასულიყო ბათუმიდან, სანამ ეს მღელვარება არ ჩაცხრებოდა. გენერალმა უარი მიიღო, დავითის თქმით ეს გაქცევას უფრო გავდა ვიდრე შვეულებას, ამიტომ სასტიკი უარი განაცხადა და დარჩა ბათუმში, სამაგიეროდ გენერალი დაიბარეს თბილისში ამ აყალმაყალის გამო და მალევე, უცნაური ავადმყოფობით გარდაიცვალა, ისე, რომ ბათუმში აღარ დაბრუნებულა. გენერალი კლიუჩევსკი არ ყოფილა არც პირველი და არც უკანასკნელი, ვინც მოულოდნელი სნეულებებით გარდაიცვალა და ამ ფონზე, უფრო მეტად ფასდება დავით კლდიაშვილის ღვაწლი, რომ მან შეძლო და ამ არსებული ვითრების ფონზე ცოცხალიც დარჩენილიყო და თავისი სიტყვაც გაეტანა.

ყოველი დღე საინტერესო მოვლენებით იყო დატვირთული დავითის ცხოვრებაში. ერთხელაც მივლინებით მოუწია წასვლა პეტერბურგში, მსროლელთა სკოლაში. აქ მან ათი თვე დაჰყო. რამდენიმე მნიშვნელოვანი დეტალის გამოყოფა შეიძლება მისი აქ ყოფნის პერიოდში. პირველ რიგში, უნდა აღნიშნოს ქართველთა შეკრება პეტერბურგში, ერთ-ერთ დარბაზში, სადაც დავითი შეხვდა ივანე ჯავახიშვილს, ნიკო თავდგირიძეს, სიმონ ჟორჟოლაძეს და სხვებს. ისინი მომდევნო ხანებშიც ხშირად იკრიბებოდნენ და განიხილავდნენ საერთო საქმეს, მათ არც თუ ისე იშვიათად უერთდებოდა ლუარსაბ ანდრონიკაშვილი, რომელიც იყო ინფორმატორი მთავრობის შესახებ, ძირითადი განხილვის ობიექტი პლევე გახლდათ, რომელიც მთელ რუსეთს ათრთოლებდა. ცალკე უნდა გამოიყოს დავით კლდიაშვილისა და ივანე ჯავახიშვილის ურთიერთობა. ნიკო თავდგირიძის თხოვნით, დავითიც წავიდა ავად მყოფი ივანეს სანახავად. მის პატარა საცხოვრებელში შესვლისთანავე მოიხიბლა დ. კლდიაშვილი. ივანე დავითს თავის ბოლო ნაშრომზე ესაუბრა, რომელიც გიორგი მთაწმინდელის შესახებ იყო, საუბარი ძალიან სასიამოვნოდ წარიმართა, იმდენად, რომ ამით არ შეუწყვეტიათ და მთელი თავისი თავგადასავლის მოყოლა მოუწია ივანე ჯავახიშვილს ცნობისმოყვარე დავით კლდიაშვილისთვის. გულისყურით ისმენდა სინას მთაზე მოგზაურობის ამბებს, ამონარიდებს გრიგოლ ხანძთელიც ცხოვრებიდან. ამ საღამომ უდიდესი სიყვარული დაუტოვა ივანესადმი, მისი გულწრფელი საუბარი

დავითის თქმით ნამდვილად იყო წინაპირობა იმისა, რომ მას შეეძლო უდიდესი საქმეების მოგვარება. ასეც მოხდა - ქართული უნივერსიტეტი დაარსდა. ის სიყვარული რაც დავითს ქონდა ივანესადმი, ახლა მთელს ქვეყანას მოედო.

დავითს პეტერბურგში ყოფნისას მიუვიდა დეპეშა, რომ უნდა გამოცხადებულიყო ბათუმში, მუშებსა და ოფიცრებს შორის მომხდარი დაპირისპირების გამო გამართულ სასამართლო პროცესზე. იგი ვერ შეძლებდა ბათუმში გამგზავრებას, სამაგიეროდ ამ ხანებში ლუარსაბ ანდრონიკაშვილი მიდოდა იქ, დავითმა დეტალურად გააცნო საქმის ვითრება და სთხოვა, მის მაგივრად გამოსულიყო. ლუარსაბი კარგი ამბით დაბრუნდა, მუშები გაამართლეს და ყველანი ძალიან გახარებულები იყვნენ. აღსანიშნავია, რომ სწორედ ამ პერიოდში იმართებოდა საიდუმლო კრებები ბასიანზე, სადაც ერთმანეთს ხვდებოდნენ მოწინავე ლიტერატორები, პოლიტიკური მოღვაწეები და ჟურნალისტები. ამ შეკრებაზე ანდრონიკაშვილი დაიბარეს მომხსენებლად, რათა ეცნობებინა ბათუმსა და გურიაში მიმდინარე მოვლენები, მას, როგორც მომხსენებელს, უფლება ჰქონდა ხუთი ადამიანი წაეყვანა ამ საიდუმლო შეკრებაზე, სწორედ, ამ ხუთეულში მოხვდა დავით კლდიაშვილი ივანე ჯავახიშვილთან და სხვებთნ ერთად.

მოხსენებამ საინტერესოდ ჩაიარა, ბოლოს ანდრონიკაშვილდა დასძინა, რომ მუშებისა და ოფიცრების დაპირისპირებისას მათ რიგებში იმყოფებოდა ერთ-ერთი ოფიცერი, რომელსაც არცერთი ტყვია არ გაუსვრია მუშების მიმართ და ეს იყო დავით კლდიაშვილი. დარბაზში ტაშმა იქუხა, ოვაციები დიდი ხნის განმავლობაში არ შეწყვეტილა და ამ დროის განმავლობაში დაბნეულ და რეტდასხმულ დავითს საშუალება მიეცა სიტყვა მოეფიქრებინა. მან გულწრფელი სიტყვა წარმოთქვა, რომ არაფერი განსაკუთრებული არ გაუკეთებია და ეს მოხდა მისგან დამოუკიდებლად, ბედისგან შებრალებით, რომ ოფიცრებთა რიგებში იყვნენ ისეთებიც, რომლებიც უნებურად ხდებოდნენ საშინელი დამნაშავეები და კიდევ ერთხელ გადაუხადა თვის იღბალს მადლობა. ამ სიტყვების შემდეგ ორმაგი აპლოდისმენტები მოისმა გულახდილი დავითის მისამართით.

მომდევნო პერიოდში იმატა სხვადასხვა პოლიტიკურმა შემთხვევებმა, სკოლაშიც იგრძნობოდა აღელვება. პეტებურგში მყოფი ხალხი გააფრთხილეს, რომ ხშირად აღარ ევლოთ ბათუმში, რათა არ გადაყროდნენ რაიმე ხიფათს. ამ ვითარებაში დასრულდა დავით კლდიაშვილის მივლინება პეტერბურგში და დაბრუნდა კვლავ ბათუმში. ერთი შეხედვით მშვიდობა სუფევდა ირგვლივ, თუმცა ნამდვილად იგრძნობოდა მიმალული მღელვარება.

ერთ დღესაც ყაზარმაში მიმავალ დავითს დაემგზავრა ვიქტორ ფარცხალაძე, რომელმაც დიდი სიყვარულით მოიკითხა და სთხოვა, იქვე ახლოს გაყოლოდა, რომ მისთვის რაღაც საინტერესო ეჩვენებინა. ასეც გამოდგა, დავითი მიიწვიეს ერთ მივარდნილ შენობაში, ოთხი სავსე იყო მაგიდებით, რომლებზეც უამრავი ყმაწვილი იჯდა თავიანთი წიგნებითა და რვეულებით, შევიდგნენ მეორე ოთხში, სადაც იგივე სიტუაცია იყო, თუმცა შედარებით ახალგაზრდა ბიჭებით. გაკვირვებულ დავითს ფარცხალაძემ ღიმილით უთხრა, რომ ეს მათი სკოლა იყო, ისინი მალე დაგვჭირდება და უნდა მოვამზადოთო.

კლდიაშვილს მხოლოდ ერთი კითხვა დაებადა „- რომ მოგვაგნონ აქ?“, თუმცა ამის შანსი მინიმალური იყო, ძალიან ფრთხილად და დაფიქრებულად მოქმედებდნენ. სამაგიეროდ დავითის ირგვლივ კვლავ ბლომად ირეოდნენ მტრულად განწყობილი ადამიანები. ერთხანს სამსახურში, დავითის ირგვლივ მყოფი ხალხი რადიკალურად შეიცვალა, სრულებით სხვა დამოკიდებულება უჩნდებოდათ დავითის მიმართ და ეს გარემოება ძალიან აფიქრებდა მას. ხშირად საუბრობდა ამ მოვლენაზე მის საახლობლო წრეში და ერთხელაც თავისი უახლოესი მეგობრისგან შეიტყო, რომ ნაწილის უფროსი ამხედრებდა ხალხს მის წინააღმდეგ. ყველას გამოუცხადა რაც კი იცოდნენ დავითის საწინააღმდეგოთ ყველაფერი გამოეაშკარავებინათ და ერთგვარი ბოიკოტი გამოეცხადებინათ მისთვის. მართალია, ბევრი არ ეთანხმებოდა ამ აზრს, მაგრამ ნაწილის უფროსისადმი შიშის გამო იძულებულნი იყვნენ, მორიდებით ყოფილიყვნენ დავითის წინაშე.

საქმე იქამდე მიიყვანეს, რომ დავითი უდაბურ დეშლაგარში გაამგზავრეს. მიდოდა, მაგრამ გზადვე გადაწყვიტა, რომ უკან დახევა არ იყო მისი მოწოდება და

თბილისში საოლქო სამხედრო შტაბში შეიარა. ამ პერიოდში შტაბს ბერხმანი ხელმძღვანელობდა, რომელთანაც დავითი მივიდა კითხვით, თუ რა მიზეზით იგზავნებოდა სამურის პოლკში. ბერხმანმა გვერდით დაისვა პოდპოლკოვნიკი კლდიაშვილი და გულახდილად მოახსენა ყველა ცნობის შესახებ, რაც პოლკში შევიდა. რომ იგი იღებდა მონაწილეობას შეთქმულებაში, ამხედრებდა ჯარიკაცებს, მათ ცუდ მაგალითს აძლევდა და მრავალი სხვა, რეალურად იმდაგვარი ცნობები იყო, რომ გადაყვანას კი არა ჩამოხრჩობას საჭიროებსო, ღიმილით უთხრა ბერხმანმა. აქვე დასძინა ბერხმანმა, რომ იგი ბრძანებას ვერ შეცვლიდა, სამაგიეროდ მიაგზავნა გენერალ რეშეტინთან. როგორც აღმოჩნდა ის არ იმყოფებოდა ადგილზე და მხოლოდ სამი დღის შემდეგ დაბრუნდებოდა.

მნიშვნელოვანი მოვლენა განვითრდა ამ დროს დავითის ცხოვრებაში, იგი კვლავ მიბრუნდა ბერხმანთან და მოახსენა, რომ სამი დღე ვერ შეძლებდა დალოდებას ბრძანების გამო. მეთაურმა ნება დართო, რომ დარჩენილიყო და დალოდებოდა, აშკარა გახდა, რომ დავითს გამოუჩნდა ადამიანი, რომელიც მას იმედს უსახავდა და მისცა ძალა ებრძოლა თავისი გამარჯვებისთვის. ასეც მოხდა, სამი დღის მერე დაბრუნებულ გენერალ რეშეტინთან საუბარი, როგორც დავითს ჩვევია, სავსებით გულახდილ და სამართლიან ტონში წარიმართა. კეთილგანწყობილმა გენერალმა ითხოვა დრო, რათა თვისი აზრი ეცნობებინა ბათუმის ციხის უფროსისთვის და მხოლოდ ამის შემდეგ მიიღებდა საბოლოო გადაწყვეტილებას. წერილი რამდენიმე საათში მზად იყო, დავითმა ითხოვა, რომ თვითონ წაეღო და შტაბის უფროსის პასუხიც ბათუმიდან თვითონ ჩამოეტანა. რა თქმა უნდა, დათანხმდა გენერალი, წერილის წასაღებად მობრუნებულ დავითს დამშვიდობებისას თვითონ გენერალი დაეხმარა ჩაეცვა პალტო და ეს ქმედება სავსებით დამაკმაყოფილებელი და იმედიანი იყო მისთვის.

ბათუმში ჩავიდა, ეტლით ჩაუარა ყაზარმას და თითქოს მკვდრეთით აღსდგაო, დაღესტანში გამგზავრებული პოდპოლკოვნიკი ბათუმში იყო. მეორე დღესვე აიღო წერილი ბათუმიდან და გაემგზავრა გენერალთან თბილისში. მოხდა ის რაც უნდა მომხდარიყო. დავითი ერთი კვირით უნდა დარჩენილიყო თბილისში, რომ ყველა

ფორმალური პროცესი მოგვარებულიყო და შემდეგ შეძლებდა დაბრუნებას ბათუმში. ამ პერიოდში გაჭიანურდა საქმე, შტაბში მიმდინარეობდა გენერალთა ცვლილებები, საკმაო ლოდინის შემდეგ დავითს მოუვიდა მოწვევა გენერალ შატილოვისგან, რომელმაც აცნობა, რომ მისი თანხმობის შემდეგ გადაყვანილი იქნებოდა სოხუმის პოლკში. ორი დღის შემდეგ მივიდა შტაბში საბოლოო გადაწყვეტილების მოსასმენად, მას მიეგება მორიგე გენერალი კნიაზევიჩი, რომელმაც გამოუცხადა, რომ შტაბის უფროცი თანახმა იყო დავითის სოხუმში გადაყვანაზე, თუმცა შემდეგ ბრძანება შეცვალა და ბრძანა, თქვენი დაბრუნება ბათუმში, ვინაიდან იგი ეწინააღმდეგება ადამიანის ბედით თამაშსო.

სიამაყით დაბრუნდა ბათუმში, თუმცა თავისი ჯგუფის უფროსი აღარ დახვდა, ასაკის გამო მოუწია გამოთხოვებოდა სამსახურს, მის ნაცვლად კი, როგორც დავითს უთხრეს დაინიშნა პოლკოვნიკი ტუნებერგი, შესმენილი და რიგიანი პიროვნება. ბათუმში ჩასვლისთანავე მივიდა დავითი ახალ უფროსთან ჩვეული გულახდილობით: „- რასაკვირველია, გაგებული გაქვთ ყველაფერი ჩემს შესახებ. მე ისევ დამაბრუნეს უკან. მაგრამ უნდა მოგახსენოთ, რომ მე იგივე ვარ, რაც აქამდე ვიყავი, მე ისევ იმ აზრზედა ვარ, რომ ჯერ მოქალაქე ვარ და მერე სამხედრო პირი“ (კლდიაშვილი, 1984: 164). დაამატა, რომ ისევ ძველებურად გააგრძელებდა ცხოვრებას და ამგვარი შტაბოფიცერი არ შეაწუხებდა გააგრძელებდა სამსახურს, თუ არა და ახლავე ჩამოშორდებოდა ამ სამსახურსაც და შესაძლოა, ზოგადად სამხედრო სამსახურს. ტუნებერგმა გულითადი მადლობა გადაუხადა დავითს ამ გულახდილი საუბრისთვის და ნდობა განუცხადა, რომ თვითონაც ერთგულად იქნებოდა მის გვერდით და ვინც კი შეეცდებოდა დავითის შესახებ მასთან ცუდად ელაპარაკა, ყველას გაისტუმრებდა. მაგრამ ეს სასიამოვნო თანამშრომლობა დიდხანს არ გაგრძელებულა, წელიწად ნახევარში მოულოდნელი ავადმყოფობით გარდაიცვალა ნაწილის უფროსი ტუნებერგი, მის ნაცვლად კი ახალგაზრდა, დავითის თქმით ჭკუამოკლე ადამიანი დანიშნეს, რომელიც მხოლოდ უფროსებისთვის თავის მოწონებაზე ფიქრობდა. არც ამას უმუშავია დიდხანს, მალევე წავიდა და თან დავითიც გაიყოლა.

მრავალი უფროსი გამოიცვალა მან, მტრულიც და მოყვარეც, ყველასთან ცდილობდა სამართლიანი კომუნიკაციის დამყარებას, თუმცა უსამართლობა მრავლად ხვდებოდა, ისევე, როგორც მისი გათავისუფლება. ამ დროს ციხის უფროსად გენერალი ალფანტი იყო დანიშნული, რომელმაც მოსვლისთანავე გამოაცხადა, რომ სულ სხვანაირად აპირებდა მუშაობას, სხვანაირი წვრთნებით და მას გვერდით მხოლოდ სანდო ადამიანები ჭირდებოდა. ყველაფერი ნათელი იყო, მალევე გაუგზავნეს წერილი, სადაც ეწერა, რომ უნდა დაეტოვებინა სამსახური. მეორე დღესვე დაწერა სამსახურიდან წასვლის შესახებ განცხადება. ნაწილის უფროსი მწუხარე ტონით ესაუბრებოდა დავითს, რომ დასანანი იყო ამგვარი თვალსაჩინო შტაბ-ოფიცერის გათავისუფლება და არ იცოდა, რას შეიძლებოდა გამოერკვია ეს. თუმცა დავით კლდიაშვილმა დანამდვილებით იცოდა, რომ უფროსის ხელი ერია, მოგვიანებით დადასტურდა კიდეც. როგორც გაირკვა, დავითის ატესტაცია შტაბის უფროს გადაუგზავნია, ყოველთვის უნაკლო ატესტაცია ქონდა დავითს, ისევე, როგორც ეს უკანასკნელი იყო, მაგრამ, უფროსს ამ ატესტაციის ბოლოს მიუწერია, რომ დავით კლდიაშვილი პოლიტიკურად არასანდო იყო, სწორეს, ეს გახდა მისი გათავისუფლების საბაბი.

ასე დაასრულა სამხედრო სამსახური, და ბათუმში ცხოვრების ოცდაექვსი წელიწადი. სამსახურეობრივმა სტრესმა და გაუთავებელ აღელვებაში ყოფნამ ფიზიკურად ძლიერ დაასუსტა. ღიმილით იგონებს, რომ ერთადერთი დადებითი, რაც სამსახურიგან მიუღია იყო წავკისის მინერალურ წყლებზე გაგზავნა სამკურნალოდ, რომლის საჭიროებაც ჯანმრთელობის ერთ-ერთი შემოწმების დროს დადგა და მცირე ხნით გაუშვეს წყლებზე.

ბათუმიდან გაემგზავრა ქუთაისში, თავის მშობლიურ სოფელ სიმონეთთან ახლოს დასახლდა. ღებულობდა პენსიას, თუმცა არ იყო საკმარისი და აუცილებლად უნდა ეშოვა დამატებითი სამსახური. საბედნიეროდ, მალევე გამოჩნდა ქალაქის თვითმმართელობაში დავითისთვის შესაფერისი ადგილი. ამ დროს ქალაქს მართავდა დავით ლორთქიფანიძე, რომელსაც დიდი თოვნით მიმართა დ. კლდიაშვილის მეგობარმა - კოტე ბაქრაძემ. დავით ლორთქიფანიძე სასტიკ უარზე

იყო, ვინაიდან არ შეეძლო მისთვის უცნობი ადამიანის ამგვარ თანამდებობაზე დანიშნვა. სწორედ, ამ დროს შეექმნა მას ჯანმრთელობის პრობლემები, რომლითაც ისარგებლა კოტე ბაგრაძემ და საქმის მწარმოებელს დავითის ნაცვლად დააწერინა ბრძანება. ლორთქიფანიძემ მხოლოდ საყვედური გამოუცხადა კოტეს მისდამი პატივისცემის გამო, დავითი კი ასე შერჩა სამსახურს.

დავით კლდიაშვილის ცხოვრებამ ფერი იცვალა, მისთვის უჩვეულო სამსახურს ვერ ეგუებოდა, ამას ჯანმრთელობის შემაწუხებელი მდგომარეობაც ემატებოდა. თუ თავს კარგად გრძნობდა თეატრსა და ლექციებზე დადიოდა, თუმცა დიდად აწუხებდა, რომ ქართველი ლექტორები, ქართველი აუდიტორიის წინაშე რუსულად კითხულობდნენ ლექციას. თუმცა დავითის მონდომებითა და კეთილსინდიესიერი ხალხის მეოხებით მალე გაჟღერდა ქართული ლექციები.

ქართველებმა იციანო თავიანთი მოამაგის დაფასება, ამბობს დავით კლდიაშვილი და იქვე დასძენს, რომ ყველასი თუ არა, ზოგიერთის მაინცო. ამ სიტყვებით იწყებს საუბარს აკაკი წერეთლის მოღვაწეობის 50 წლის იუბილესადმი მიძღვნილ ღონისძიებაზე. თბილისში დიდებულად აღინიშნა ეს დღე და ახლა უკვე ქუთაისში მიმდინარეობდა სამზადისი პოეტის დასახვედრად. დავითისვთის ამ პროცესს განსაკუთრებულ ელფერს მატებდა ის ფაქტი, რომ სწორედ, დავითი დაინიშნა ამ ღონისძიების დასაგეგმად არჩეული პიროვნების დამხმარედ. მათთან ერთად უამრავი ადამიანი ჩაერთო ამ დღესასწაულის ორგანიზებაში და შეუძლებელი იყო, რომ ისე წარმატებულად არ ჩაევლო, როგორც ამ ხალხს სურდა. ღონისძიებამდე რამდენიმე დღით ადრე ჩავიდა აკაკი ქუთაისში და მალევე მივიდა ქალაქის სამმართველოში დავით კლდიაშვილთან შესახვედრად. ძალიან აღელვებული ჩანდა, ჩანდა კი არა, იყო კიდევაც... „ყმაწვილო! ჩემი სახელით ნუ აწუხებთ საზოგადოებას! მოხსენით იუბილე.. არ მინდა!“ (კლდიაშვილი, 1984: 180).

ხანგრძლივი დიალოგი შედგა მათ შორის, გაუჭირდა დავითს აკაკის დარწმუნება, რომ ღონისძიება ნამდვილად ხალხისთვის იმართებოდა და აქიდან შემოსულ ფულს არავინ დაიტაცებდა, უკლებლივ მიართმევდნენ აკაკის. აკაკი მაინც თავის აზრზე იყო, რომ ყოველი შეხვედრა მსგავსი სიტყვებით იწყება და ბოლოს

შემოსული თანხა სხვების ჯიბეში იკარგებაო. საბოლოოდ შეთანხმება შედგა, ღონისძიება არ ჩაშლილა, ზღვა ხალხი შეიკრიბა და შემოსული თანხაც, ათასი მანეთი, გადაეცა აკაკის, რომელიც გაოცებული იყო ჯერ ღონისძიების მსვლელობით, შემდეგ კი პირობის ასრულებით. ქუთაისმა შესაბამისი პატივი სცა დიდებულ მგოსანს, თუმცა ამას არ დაჯერდა და საზოგადოებას საშუალება მისცა, ასევე დიდებული მგოსანი ვაჟა-ფშაველა გაეცნოთ, რომელიც პირველად სტუმრობდა დასავლეთ საქართველოს. მიუხედავად იმისა, რომ საზოგადოებაში უფრო და უფრო მატულობდა სიყვარული და პატივისცემა ვაჟას მიმართ, იგი მაინც დაფლეთილ სამოსს ატარებდა, მთაში ყანას წვალებით ამუშავებდა და ლექსებში სულ თითო კაპიკს ღებულობდა - ხშირად არც ამას.

ქუთაისის გამგეობაში სულ სამი წელი იმუშავა დავით კლდიაშვილმა. აქიდან შავი ქვის მრეწველთა საბჭოში გადავიდა, სადაც სულ სხვანაირი საქმიანობა უწევდა, ვინაიდან იგი დაინიშნა საქმის მწარმოებლად, სულ იყო ჩაფლული ძველ თუ ახალ ქაღალდებში, თუმცა ამაზე სულაც არ ნაღვლობდა, ვინაიდან მისთვის მთავარი იყო საბჭოში ყოფნა, სადაც სულ პირველხარისხოვანი საზოგადო მოღვაწეები საქმიანობდნენ. თუმცა ეს მშვიდი სამსახურეობრივი გარემო მალევე შეცვალა დაძაბულობამ, ვინაიდან დაიწყო ომი. რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, ახალ ნაავადმყოფარი, საავადმყოფოდან სულ რამდენიმე დღის გამოსული დავით კლდიაშვილიც გაიწვიეს ომში სათადარიგო რაზმის უფროსად. ექიმებს არ ეიმედებოდათ დავითის ფეხზე დადგომა, თუმცა ახლა ის სენაკში იყო და გაწვეულ ჯარისკაცებს ელოდა. ნელანელა მიმდინარეობდა ორგანიზება, რა თქმა უნდა, საშინელი პირობები და მდგომარეობა იყო, ყოველივე ამას კი ძვირფასი აკაკის გარდაცვალებაც დაემატა. მთელი ერი შეძრა ამ სამწუხარო ამბავმა. საგანგებო მატარებელი დაინიშნა შორაპნიდან, რომელსაც დავითთან ერთად, უამრავი ადამიანი მიჰყვებოდა დიდი მგოსნის გასაცილებლად.

აკაკი წერეთლის დაკრძალვის შემდეგ დავითის ნაწილი ბათუმში გადაიყვანეს, მტანჯველი დღეები გამოიარეს, საბოლოოდ კი ქუთაისში მყოფებმა

პეტერბურგიდან მიიღეს დეპეშა ნიკოლოზის გადადგომის და სახელმწიფო სათავეში დროებითი მთავრობის ჩადგომის შესახებ.

დავით კლდიაშვილის ცხოვრების ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენა, მისი ლიტერატურული გზა და ამ გზაზე მომხდარი თავგადასავლები ცალკე უნდა განვიხილოთ. როგორც თვითონ ამბობს, წერა ძალიან ადრე - მეორე კლასში დაიწყო, რა თქმა უნდა, რუსულად, ვინაიდან ქართული დავიწყებული ჰქონდა. როგორღაც ეს ნაწარმოები დამრიგებლის ხელში მოხვდა და დამცინავი ტონითა და სიცილ ხარხარით ურჩია დავითს, რომ წერისთვის თავი მიენებებინა. მორჩილი დავითი ასეც მოიქცა, წერა მიატოვა, თუმცა აქტიურად განაგრძო კითხვა. აქტიურად ეცნობოდა რუსულ მწერლობას, რის შემდეგაც გაასმაგებული სურვილი გაუჩნდა ქართული ლიტერატურის გაცნობისა. საბედნიეროდ, სასწავლებელში სხვა ქართველებისა და მათი მეგობრების დახმარებით არასდროს მოკლებია ქართული ლიტერატურა. კითხვის შემდეგ, ნელანელა უბრუნდება კვლავ წერას, თუმცა ჯერ მხოლოდ მთარგმნელობით საქმიანობას ეწევა. გიმნაზიის დასრულების შემდეგ მან გადათარგმნა ლმაურის ერთ-ერთი მოთხრობა „ალი“. თარგმანი „რუსსკი ვესტნიკ“-ში მიიტანა დასაბეჭდად, თუმცა ჩათვალეს, რომ არადამაჯერებელი და არარეალური შინაარსის მქონე იყო მოთხრობა და ვერ დაბეჭდავდნენ. სამაგიეროდ, საქართველოში დაბრუნების შემდეგ აქტიურად დაიწყო მისი რუსული, გერმანული და ფრანგული თარგმანების ბეჭდვა. ამ პროცესს წინ უძღვოდა ჟურულების ოჯახის წვლილი დავითისთვის ქართული ენის სწავლებაში. მისი პირველი თარგმანი სახელი გვარითა და ხელმოწერით დაიბეჭდა ჟურნალ „თეატრში“ 1885 წელს.

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მოვლენა მწერლობის მიმართულებით იყო გრიგოლ ვოლსკის სურვილი, რომ მას, დავითსა და ალექსანდრე აბაზაძეს ყოველკვირეულად ერთმანეთისთვის ერთმანეთის ჩანაწერები წაეკითხათ. ერთ ასეთ შეხვედრაზე, როდესაც დავითი თავის ჩანახატს კითხულობდა ვოლსკიმ მეგობრული სიცილით მიაგება სიტყვები: „- დათიკო! შენ კორესპონდენციას წერ თუ მოთხრობას?“-ო. დავითმა სასწრაფოდ დაკეცა ფურცელი, უბეში შეინახა, ვოლსკის გამუდმებული თხოვნის მიუხედავად კითხვა აღარ გაუგრძელებია, ეს ფურცელი კი

მხოლოდ ორი წლის შემდეგ გახსნა და მისგან ორი მოთხრობა „შერისხვა“ და „მსხვერპლი“ გამოიძერწა. დიდი მოწონება დაიმსახურა და ამ ფაქტისგან წაქეზებულმა მალევე დაწერა „სოლომან მორბელაძე“, ეს პროცესი იმდენად მალე დასრულდა, რომ თვითონ დავით კლდიაშვილიც გაოცებული იყო, სამაგიეროდ, შემდეგმა მოთხრობამ - „წრფელი გული“ ნამდვილად წაართვა განსაკუთრებული დრო. ეს დრო კი ძირითადად მის პირველ სტრიქონს დაეთმო, დავითისთვის მნიშვნელოვანი იყო პირველი სტრიქონის ტონი, რომელზედაც „გასრიალდებოდა“ მთელი მოთხრობა. იყო მომენტები, როდესაც განსაკუთრებით მოეძალებოდა წერის სურვილი და ეს პროცესი მუშაობა კი არა სიამოვნება იყო მისთვის. ასეთივე გატაცებითა და თავდავიწყებით დაწერა „სამანიშვილის დედინაცვალი“ (პეტრე უმიკაშვილის გაჯავრება ბათუმის ბულვარში. დავითს ზარმაცი და უქნარა უწოდა რახან სამანიშვილის დედინაცვალი ძალიან უცებ დაასრულა და არ ამოგზაურა სხვა კუთხეებში.

შემდეგ იყო „დარისპანის გასაჭირი“, „უბედურება“ და ყოველივე ამას საზოგადოება აღფრთოვანებული ხვდებოდა. აქვე უნდა აღინიშნოს სერგო კლდიაშვილის - დავითის შვილის მოგონებები „უბედურების“ წერისას. მაშინ, როდესაც დავით კლდაიშვილი ომის დროს კვლავ ჯარში გაიწვიეს, თავის შვილს სთხოვა, რომ უკანასკნელი პიესა გადაეწერა. მიუხედავად იმისა, რომ სერგოს უკვე დაგეგმილი ჰქონდა მთელი დროის ჯირითში გატარება, მაინც ბოლომდე გადაეშვა წერის პროცესში, განსაკუთრებით მოსაწონი გამოდგა ფინალი, როდესაც გადასალოცად გამოდის ქალი ქოხიდან. გადაწერილიც გადაუკითავთ დავითსა და სერგოს. კმაყოფილების მიუხედავად დავითი სევდიანად გამოიყურებოდა, ამ დროს უთქვამს თავისი შვილისთვის: „- იყოს ჯერ, არ გავგზავნი... ჩემი პირველი მოთხრობა ანთებული სანთლებით დავიწყე. ოცდახუთი წლის შემდეგ ეს უკანასკნელი პიესაც ანთებულ სანთლებით თავდება. ისეა თითქო გათავდა ყველაფერი... იყოს ჯერ, არ გავგზავნი!“ (ქართული ენა და ლიტერატურა,2009:365).

საერთო ჯამში კი დავით კლდიაშვილის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ლიტერატურული გზა სიყვარულითა და ბედნიერებით იყო მოფენილი. „ეს სითბო,

სიყვარულობანა თან ახლდა ჩემს ლიტერატურულ შრომას, არასოდეს დაკლებია იგი და ამიტომაც, ჩემი განვლილი ლიტერატურული გზა ბედნიერად განვლილ გზად მიმაჩნია“ ამბობს დავით კლდიაშვილი, რომელიც მოესწრო სამოქალაქო ომს, ილიას მკვლელობას, რევოლუციებს. ბოლოს მიყვება ლიტერატურულ გზას, რომელიც არაერთხელ ჩაუკეტეს, თუმცა საბოლოოდ ღებულობს სახალხო მწერლის სახელს, არანაირი ავი კრიტიკა საზოგადოებაში.. ამას პლუს რედაქტორების აღფრთოვანება, რომ მის არცერთ ნაწერს არ ჭირდებოდა სიტყვის ამოკლება ან ჩამატება.

თავი III. დავით კლდიაშვილის სოციალურ-პოლიტიკურ კრიზისს შეწირული პერსონაჟები

დავით კლდიაშვილის მხატვრული ოსტატობა მთელი სისრულით გამოვლინდა გაღარიბებულ აზნაურთა ყოფის ამსახველ მოთხრობებსა და პიესებში. მან შექმნა შესანიშნავი თხზულებები მისი თანამედროვე საზოგადოების ერთ მნიშვნელოვან ნაწილზე - მთელ წოდებაზე - და ეს თხზულებები ემყარებოდა არა სასწაულებრივს, გამონაგონს, არამედ ცოცხალ სინამდვილეს.

1894 წელს მკითხველმა მიიღო დავით კლდიაშვილის მოთხრობა ,,სოლომონ მორბელაძე“, ამის შემდეგ დაიბეჭდა მოთხრობა ,,სამანიშვილის დედინაცვალი“ (1897), დრამა ,,ირინეს ბედნიერება“ (1897) მოთხრობა ,,ქამუშაძის გაჭირვება“(1900). რამდენიმე წელში მათ რიგს შეემატა ტრაგიკომედია ,,დარისპანის გასაჭირი“(1983), ნოველა -,,თავადი პეტრე“, ,,როსტომ მანველიძე“(1910) და მოთხრობა ,,ბაკულას ღორები“.

მწერლის ყოველი მხატვრული ნაწარმოები გვიხატავს ცხოვრების ერთ რომელიმე ეპიზოდს, მაგრამ ამას ისე იდეალურად ახერხებს, რომ გექმნება შთაბეჭდილება წიგნზე, რომლის მთავარ გმირად გაღატაკებული აზნაური გვეცხადება. ეს ის აზნაურია, ვისაც ყველაზე კარგად მიესადაგა თავად მწერლის ერთერთი მოთხრობის კუთვნილი გამოთქმა ,,შემოდგომის აზნაური“.

ვინაა ეს ,,შემოდგომის აზნაური“, რომლის ცხოვრება, ხასიათი და სულისკვეთება ასე რეალისტურად აისახა ქართველი მწერლის შემოქმედებაში? რას წარმოადგენდა იგი ძველად, ან ახლა, 90-იან წლებში?

„შემოდგომის აზნაურის“ მხატვრული სახის შექმნით დავით კლდიაშვილმა მწერლის თანამედროვე სოციალურ-ეკონომიკურ კრიზისს შეწურული საზოგადეობა აღწერა.

როგორც ისტორიკოსები ამტკიცებენ, აზნაურობა, როგორც სოციალური ფენა საქართველოს რეალობაში, განსხვავდება სხვა ქვეყნებში ცნობილი საზოგადოებრივი ურთიერთობების ფორმათაგან. ზოგიერთი მსგავსება ესპანურ იდალგიასთან, გერმანულ-ფრანგულ ღარიბ რაინდებთან თუ პოლონურ შლიახტასთან, მხოლოდ გარეგნულია და არაარსებითი. ეს ფენა, აზნაურები, უკვე მე-15 საუკუნისათვის, რაღაც საშუალოა თავადობასა და გლეხობას შორის. აზნაურთა უმრავლესობა წვრილი მემამულეა, უპირატესად ადმინისტრაციული მოხელენი არიან. მათვე ეკისრებათ სამხედრო სამსახური და პატრონის ხლება. რაკი საქართველო გაუთავებელი ომების ასპარეზი იყო, ლაშქრობა და ომი განსაზღვრავდა აზნაურთა ცხოვრების წესს. პატრონთან ხლება და ლაშქრობა-ნადირობაში მონაწილეობა მათი ძირითადი მოვალეობა იყო მეფის და თავადის წინაშე. ერთერთი მთავარი ნიშანი, რომელიც აზნაურს გლეხისგან განასხვავებდა, პირადი თავისუფლება ყოფილა.

აი, ზოგიერთი ნიშანი, რომელმაც ისტორიულად ჩამოაყალიბა აზნაურული ხასიათი: გამახვილებული წოდებრივი სიამაყის გრძნობა; საკუთარი დამსახურების გაზვიადება; ტრაბახი, კუდაბზიკობა; ხაზგასმული სტუმართმოყვარეობა, გადაყოლილი ჩაცმა; და ა. შ. კიდევ მრავალი, ურთიერთგამომრიცხავი ნიშნების ჩამოთვლა შეიძლება, რომლებიც ისტორიულ ეპოქაში შეუმუშავდა აზნაურობას და მეტ-ნაკლებად გამოჰყვა ახალ დროშიც, ფეოდალიზმის ლიკვიდაციის შემდეგ.

ახლა კი თავად აზნაურობამ ძველი ფუნქცია - ისტორიული, ეროვნული დაკარგა. ეს აისახა ქართულ პრესაში. ამ ვითარებაში 1900 წელს დავით კლდიაშვილის ერთ საუკეთესო მოთხრობაში ,,ქამუშაძის გაჭირვება“ პირველად გაისმა გამოთქმა ,,შემოდგომის აზნაური“. შეძლებული გლეხი სამადაძე, აზნაურ ქამუშაძეების ნათლობაში განაჩენს გამოუტანს ამ ხალხს. ,,შემოდგომის აზნაური“ არის ტერმინი - განაჩენი, ტერმინი - ფუნქცია, რომელშიც აისახა მთელი საზოგადოებრივი კლასის ტრაგედიაც და კომედიაც. ამ ტერმინმა გააერთიანა ყველა ის ნიშან-თვისება, რომელიც აზნაურული წოდების სოციალურ სახეს და მის ხასიათს განსაზღვრავდა. შემოდგომის აზნაური - უმიწაწყალო, კუდაბზიკა, გუდამშიერი აზნაური.

აი ეს მასალა დაედო დავით კლდიაშვილის შემოქმედების ძირითად ნაწილს.

ბრძოლა არსებობისათვის, საერთო გაჭირვების მძაფრი შეგრძნება დ. კლდიაშვილის ნაწარმოების გმირებს დრამის პერსონაჟებად აქცევს. აქედანაა დრამატული პათოსი, რომელიც აზნაურული რკალის ნაწარმოებთა მხატვრული სტილის უმთავრესი ნიშანია.

სიბრალული, რომელსაც დავით კლდიაშვილი განიცდიდა ამ ადამიანებისადმი, რეალისტ მწერალს არ უშლიდა ხელს, შეენიშნა ის სასაცილო მდგომარეობა, რომელშიაც ცხოვრებამ ჩააყენა ისინი შეამჩნია კომიკური მათ ქცევასა და ხასიათში. აქედანაა იუმორის პათოსი, რომელიც აგრეთვე დამახასიათებელია დ. კლდიაშვილის სტილისთვის.

დავით კლდიაშვილის მთავარი პერსონაჟები არასოდეს ხუმრობენ. პირიქით, უმეტესად ისინი პირქუშნი, მოწყენილნი, ჩაფიქრებულნი და არც თუ იშვიათად, ძუნწნი არიან. მათზე იმიტომ კი არ გვეღიმება, რომ თავად არიან კომიკურნი, არამედ იმიტომ, რომ თვით ამბავია სასაცილო. ცნობილი ეპიზოდი ,,სამანიშვილის დედინაცვლიდან“: მთვრალმა კირილემ სალობერიძის ოჯახში იჩხუბა, უხერხულ მდგომარეობაში ჩააყენა მასპინძლები და მათი სტუმრები. პლატონი შეწუხებულია ცოლის ძმის საქციელით და როცა ეს უკანასკნელი გაიქცა, საზოგადოებას უამბო კირილეს სხვა ოინებიც. მწერალი შენიშნავს: ,,ეს კაცი... ისეთნაირი კილოთი ლაპარაკობდა, სწორედ შეეცოდებოდა კაცს, რომ თვით ამბავი სასაცილო არ ყოფილიყო.“

დავით კლდიაშვილის შემოქმედებაში იუმორი უმთავრესად სიტუაციური კომიზმის ფორმითაა გამოვლენილი. მისი იუმორის წყარო, ისევე როგორც ყველა დიდი ხელოვანისათვის, ცხოვრება იყო. მას ჰქონდა იშვიათი უნარი, ადამიანთა ურთიერთობაში, მათ მეტყველებაში შეემჩნია სასაცილო და რაც მთავარია, ექცია იგი თავისი მხატვრული შემოქმედების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ესთეტიკურ ფენომენად. კლდიაშვილს უდავოდ ჰქონდა, იუმორის უზარმაზარი ნიჭი. მაგრამ მწერლის შემოქმედების ამ მხარეს გადაჭარბებული მნიშვნელობა არ უნდა მიენიჭოს.

თავი რომ დავანებოთ ისეთი ტრაგიკული ინტონაციებით დატვირთულ მოთხრობას, როგორიცაა ,,ქამუშაძის გაჭირვება“, თვით ,,სოლომან მორბელაძე“ და

,,სამანიშვილის დედინაცვალი'' იმდენადვეა იუმორისტული, რამდენადაც ტრაგიკულ-დრამატული.

დაქვრივებულმა, მაგრამ ჯერ კიდევ ჭარმაგმა მოხუცმა აზნაურმა ბეკინა სამანიშვილმა ერთ დღეს კაცი მიუგზავნა შვილს, პლატონს და ცოლის შერთვის სურვილი გამოუცხადა. თუ გავითვალისწინებთ, რომ მამა-შვილი ერთად, ერთ ოჯახში ცხოვრობენ, სიტუაცია საკმაოდ კომიკურია, მაგრამ კომიკურია იგი მკითხველისთვის და არა თვით ამ სიტუაციის მოქმედი გმირებისათვის, მეტადრე, პლატონისათვის. ,,მღუპავ, მამა,-მივარდა ბეკინასთან, - დანას მიყრი ყელში, რატომ მიმეტებ შენი ჭირიმე? - ძლივს წარმოთქვა პლატონმა და ხმაჩაწყვეტილმა უნუგეშოდ ხელები გაშალა.“ რაკი მამას გადაწყვეტილება ვერ შეაცვლევინა, პლატონმა თვითონ იკისრა სადედინაცვლოს მოძებნა. თუ რატომ, ცნობილია.

იგი ნათხოვარი, ბერხეკ ცხენზე ამხედრებული გაემართება სოფელ-სოფელ. იწყება ღარიბი იმერელი აზნაურის მოგზაურობა, ერთსა და იმავე დროს სასაცილოც და სამწუხარიც.

პლატონის შიში, მის მიერ მამის გადაწყვეტილების ტრაგიკული განცდა რომ საფუძველს მოკლებული არ იყო, ირკვევა მოთხრობის ფინალში. აქ ნაჩვენებია, თუ როგორ სპობს მამა-შვილს შორის ყოველგვარ გრძნობას შიში ხვალინდელი დღის წინაშე, რისი მიზეზიც, ძირითად მატერიალური გაჭირვებაა. - პლატონი მხეცურად სცემს ფეხმძიმე დედინაცვალს, გაეყრება შრომისუნარმოკლებულ მამას, ხოლო როცა ეს უკანასკნელი გარდაიცვლება, უსაშველოდ ავიწროებს, სასამართლოდან სასამართლოში წანწალს აიძულებს დედინაცვალს და მცირეწლოვან ძმას.

მოთხრობაში ბევრია იუმორისტული სიტუაციები, არის ზოგიერთი იუმორისტული პერსონაჟიც, მაგრამ თვით მთავარი გმირი - პირქუში, სიტყვაძუნწი, ულმობელი პლატონ სამანიშვილი, მისი ურთიერთობა მამასთან, გოეთეს სიტყვებით, რომ ვთქვათ ტრაგიკულობის მიჯნაზეა.

ასეა ,,სოლომან მორბელაძეში“, ასეა ,,ქამუშაძის გაჭირვებაში“ და ,,დარისპანის გასაჭირში“

ამ საზოგადოებაში ადგილი აღარ რჩება ნათესაურ ინტიმურ გრძნობისათვის, აქ ანგარებაზე აგებული ულმობელი კანონები მოქმედებენ და ადამიანებიც შესაბამისად არიან მომართულნი. მოხუცი ბეკინა შებრალებას ემუდარება შვილს. ,,მე შემიბრალა ვინმემ? - წაილაპარაკა პლატონმა და პირი მიიბრუნა.“ პლატონის ამ წალაპარაკებაში დ. კლდიაშვილისთვის დამახასიათებელი სიზუსტით არის ფორმულირებული იმ ულმობლობაზე დამყარებული საზოგადოების არსი. პირი იმიტომ მიიბრუნა პლატონმა, რომ ბოლოს და ბოლოს ადამიანია და სახეში ვერ შეხედავს მამას, რომელსაც ეს ესაა სასიკვდილო განაჩენი გამოუტანა.

ამასთანავე, ,,სამანიშვილის დედინაცვალი“, ისევე, როგორც აზნაურული რკალის სხვა მოთხრობები, გაბრწყინებულია იმ იუმორით, რომელიც თავისი წარმოშობით ხალხურია, ჩვენში დამკვიდრებული ტრადიციით - იმერულია და რომელიც მწერლობაში კლდიაშვილმა შემოიტანა. ,,კლდიაშვილი იმერული ნიჭია, ოხუნჯი, ხალისიანი, სიტყვამოსწრებული, ლაღი - შენიშნავდა ი. გომართელი.“ - აქ ხაზგასმულია კლდიაშვილის იუმორის ხალხური ხასიათი.

არასწორია დამკვიდრებული აზრი, რომ თითქოს დ. კლდიაშვილის იუმორს აკლია მამხილებელი პათოსი და მასთან არ გვხდება სატირა. ბეგლარ ჭინჭარაძე, პორფირი ბიაშვილი, უთუოდ სატირული ხასიათებია. პლატონ სამანიშვილიც, მაგრამ აზნაურული რკალის საერთო ელფერი უფრო იუმორისტულია, ვიდრე სატირული.

კომიკურ-იუმორისტული დავით კლდიაშვილის მსოფლმხედველობრივი პოზიციის ერთ-ერთი საუკეთესო გამოვლენა იყო და კიდევ უფრო წარმოაჩენდა მწერლის მიერ სინამდვილის ტრაგიკულ აღქმას. მისი მოთხრობა ქართული პროზის სიმწიფეს მოასწავებდა, უპირველეს ყოვლისა, როგორც მხატვრული ფენომენი.

,,სოლომან მორბელაძე“ აზნაურული რკალის პირველი მოთხრობა, პირდაპირ მოქმედებით და დიალოგით იწყება. მაშვალ სოლომანთან მოდის პლატონი, მევალე და ვალს ითხოვს. სოლომანი დაუყონებლივ შეუდგება მოქმედებას. ათასნაირი ხრიკებით ბოლომდე მიჰყავს წამოწყებული საქმე. ქაიხოსრო ქათამაძის ვაჟს, ნიკოს, ბესარიონ საქარაძის ქალიშვილს შერთავს და ყოველნაირად ცდილობს, დაპირებული სამაშვლო მიიღოს, რათა ვალი გადაიხადოს. სოლომანი ვერ მიიღებს დაპირებულ

თანხას და სასწრაფოდ ტოვებს მექორწილეებს. მოთხრობის ფინალში თვით სოლომანი ყოველივე ამას შესანიშნავ ფორმულირებას უკეთებს: ,,მოვატყუეთ, მომატყუეს და ერთი მოტყუებული ხვალ ან ზეგ კარზე მომადგება კიდევ.“

მოთხრობის გმირი ნაწარმოების დასაწყისში ჯორზე ამხედრებული იმედიანად ,,შემოჩიქჩიქდება“ თავის ეზოში, იმავე ჯორზე ამხედრებული გვტოვებს იგი მოთხრობის დასასრულს, ოღონდ ამჯერად ,,შავ-უკუღმა ფიქრებში წასული“

დ. კლდიაშვილის აზნაურთა რკალის მოთხრობები მძაფრი სიუჟეტით არ ხასიათდება, თუმცა მისი გმირები ბევრს მოგზაურობენ, კარდაკარ დაძრწიან, საერთოდ ბევრს მოძრაობენ. თითოეულ მოთხრობას საფუძვლად უდევს ერთი არაკი, თვით მწერლის სიტყვებთ ,,უცნაური ამბავი“. მოთხრობის ჟანრობრივი სახის მიხედვით, მცირე ფორმიან მოთხრობებში ეს არაკი კონცენტრირებულია, შეკრულია დაკუმშულია. რომანულ მოთხრობებში - ,,სამანიშვილის დედინაცვალი“, ,,ქამუშაძის გაჭირვება’- არაკი მრავალ ეპიზოდებადაა დაშლილი და რამდენიმე პარალელურ შიდა სტრუქტურას ქმნის. საერთოდ კი დავით კლდიაშვილის მოთხრობებში არაკი სხარტია, ანეკდოტური შინაარსისა. იმერეთის გაღატაკებულ აზნაურთა ყოფა, მათი ზნე და ხასიათი უამრავ მასალას იძლეოდა საამისოდ. მოტყუებული მაშვალის ანეგდოტს ემყარება ,,სოლომან მორბელაძე“, მთლიანად ანეკდოტურია ქორწილის ეპიზოდი, როდესაც ახლად დამოყვრებული ქალის მამა და ვაჟის მამა ერთმანეთთან აგზავნიან სასოწარკვეთილ მაშვალს და ექვსი თუმნის ნაცვლად გასამრჯელოს ექვს მანეთს და დაკლული ხარის ტყავს არგუნებენ.

ასევე ანეკდოტური შინაარსისაა ,,ბაკულას ღორები“. გალაქტიონმა ქალაქიდან სტუმრად მოიწვია ჩინოვნიკები, ნათესავი შაშა - ალექსანდრე და მისი უფროსი - ვასილ ივანიჩი, რათა შეაშინოს მეზობელი ბაკულა, რომლის ღორებმა ბოსტანი ამოუგდეს. ჩინოვნიკებმა მოილხინეს, მაგრამ მათ თვალწინ ბაკულას ღორები კვლავ დაარღვევენ მასპინძლის კარმიდამოს, რამაც მთვრალი სტუმრები უფრო გაამხიარულა. გამწარებული გალაქტიონი, რომელიც ჩინოვნიკების გამასპინძლებამ უფრო დააზარალა, ვიდრე მეზობლის ღორებმა, უსახელო წერილით მაზრის უფროსთან აბეზღებს სტუმრებს, რომ ამათზე მაინც ამოიყაროს ჯავრი. ბაკულას

ღორები კვლავ განაგრძობენ თავიანთ შავ საქმეს. ასე რომ, როგორც ალექსანდრე ამბობს, ბაკულა კი არ შეგვიშინებია, ჩვენ შეგვაშინეს უფროო.

ანეკდოტურია შვილისაგან მამის მაჭანკლობის ამბავი, რომელიც საფუძვლად უდევს ,,სამანიშვილის დედინაცვალს“.

ყველა ამ მოთხრობაში პერსონაჟი ისეთ გარკვეულ ცხოვრებისეულ სიტუაციაშია ჩაყენებული, რომელშიც მან სრულად უნდა გამოავლინოს თვისი ხასითი.

არსებობისათვის უთანასწორო ბრძოლაში ჩართული დავით კლდიაშვილის გმირები ცდილობენ, შეინარჩუნონ ფიზიკური არსებობა და გადაარჩინონ თავიანთი ადამიანური ღირსება. მართალია, ისინი წინასწარ განწირულნი არიან, გზები და საშუალებანი, რომლებსაც ისინი ირჩევენ, ყოველთვის როდია დროის შესაფერი, მაგრამ ამ ბრძოლაში უნდა გამოავლინოს თითოეულმა მათგანმა თავისი ხასიათი, უნარი და უუნარობა.

ოტია ,,ქამუშაძის გაჭირვების“ ერთ-ერთი მთავარი პერსონაჟია. ამ პერსონაჟში მკაფიოდ გამოვლინდა დ. კლდიაშვილის ხასიათების შექმნის მაღალი ოსტატობა, ერთგულება დეტალებისადმი, პერსონაჟისა და გარემოს ხატვის რეალისტური მანერა.

ოტია ერთ-ერთი იმ გაღარიბებულ აზნაურთაგანია, ,,რომელთაც ძნელად თუ გამოარჩევთ გლეხთაგან, მათი ცხოვრება და ინტერესები მეტად გადახლართული შეიქნა მეზობელი გლეხების ინტერესებსა და ცხოვრებასთან“ მართალია, ოტიაც ,,აზნაურების ცაცხვის“ ქვეშ ზის, თავისი კეთილშობილებით ქადილი მასაც სჩვევია, მაგრამ ეს არაა მისი ხასიათის ძირითადი ნიშანი, მხოლოდ ,,გვაროვნობით მოსდგამს.“

თუ სამანიშვილები, ქველიძეები, თვით ოტიას დედაც, ეკვირინე, ცდილობენ, შეინარჩუნონ წოდებრივი უპირატესობის გრძნობა და ზოგი მათგანი კიდეც აღწევს ამას. ოტია ქამუშაძისათვის აზნაურობა ზედმეტი ტვირთია. ესაა ახალი შტრიხი, რომელიც მწერალმა შეიტანა აზნაურის ხასიათში. ოტია აზნაურ ქველიძეებს ქალს იმიტომ სთხოვს, რომ დედას ასიამოვნოს, თორემ თვითონ წინასწარ დარწმუნებულია წარუმატებლობაში. ასევე ძალაუნებურად დაჰყვება იგი პორფირი ბიაშვილის ძებნას

და ქალის სათხოვნელად ქალაქში წავა, ჭინჭარაძეების ოჯახში. აქაც სკამი წაექცევა, გაქცევასაც დააპირებს, საერთოდ, საოცრად მორცხვად იქცევა, წითლდება და ა.შ. მრავალი ზუსტი დეტალის საშუალებით მწერალი მიანიშნებს, რომ ოტია ქამუშაძე აზნაურთა წრეში თავის ადგილზე ვერაა.

მოთხრობაშიც ოტია პირველად გამოჩნდება, როდესაც ,,თავის, ეზოში, რცხილის ძირში პერანგის ამარა, თავზეხელსახოცწაკრული, ფეხშიშველა ნაჯახს ურტყამდა ურმის საბორბლედ გასათლელ ნამორს“ გლეხკაცურ შრომაში გაიხსნება მთელი სისავსით მოთხრობის ამ პერსონაჟთა, ოტიას და მისი დედის, ხასიათი, მათი ღრმად ადამიანური, კეთილი ბუნება.

ოტიასა და მისი დედის გლეხკაცური შრომის ამსახველი ადგილები ქართული პროზის ერთ-ერთი საუკეთესო ფურცლებია.

ოტია ქამუშაძე, მიუხედავად აზნაურული გვარისა, გლეხია, მიწის მუშა. მიწაა მისი მარჩენალი, მისი მწუხარებისა და სიხარულის დედა. ოტია მკითხველის თვალწინ წარმოსდგება ხან ნაჯახით ხელში, ხან ყანაში ფეხშიშველა მომუშავე, ხანაც საწნახელში მდგარი. როდესაც მუშაობას მორჩება ოტია - თავის წვრილი წნელისგან მოწნულ ჭიშკარს შეაღებს და კვამლისგან გაშავებულ პატარა სახლში შედის, რომელიც სულს უხუთავს მის ქალაქელ მეუღლეს.

ბოლოს და ბოლოს ოტია ვერ უძლებს სიდუხჭირეს, დაჰყვება მეუღლის ნებას და სოფლიდან აიყრება, მაგრამ ეს იყო უბედურება, როდესაც მწერლის სიტყვებით, ,,უფრო ღონიერი ქალაქი დასცინოდა მისუსტებულ სოფელს.“ და გლეხკაცობა მასობრივად გარბოდა შეჩვეული ადგილებიდან.

მწერალი ორიოდე სიტყვით გვამცნობს ქამუშაძეების შემდგომი ბედის შესახებ: ,,ჯერ კარგად ვერ მოეწყვნენ, მართალია, მაგრამ იმედი აქვთ ორივე ცოლ-ქმარს, რომ მოკლე ხანში ამ ახალ ნიადაგზე სოფლისაზე უკეთ წაიყვანენ საქმეს. მათთვის დიდი იმედია ბეგლარი და ბიაშვილი, რომელთაც ოტია აცოდებს თავსა და თავის ცოლ-შვილს.

ცხადია, ეს არის მეტად სუსტი იმედი: ბეგლარ ჭინჭარაძე და პორფირი ბიაშვილი ის ადამიანები როდი არიან, რომელთაც სხვისი გაჭირვება გულთან მიაქვთ.

თუმცა ოტია პირველი და ერთადერთი აზნაური როდი იყო, ქალაქსი დაფუძნებას რომ ცდილობდა და მისი იმედიანობის ერთ-ერთი საფუძველიც ეგ არის.

აღსანიშნავია, რომ დავით კლდიაშვილის შემოქმედებით სამყაროში პერსონაჟები არა მხოლოდ აზნაურები, არამედ გლეხებიც არიან, თუმცა ისინი ერთნაირი მორალურ-ზნეობრივი ცხოვრებით ცხოვრობენ. ის რაც დავით კლდიაშვილის ყველა პერსონაჟს აკლია, არის - თავისუფლება, თუმცა თითოეული მათგანი ფიქრობს, რომ აკლიათ ფული. ყველანი გადართულნი არიან მატერიალური ცხოვრების საფიქრალებზე, ხოლო ერთმანეთის სიყვარული და ყველაფერი სულიერი აქვთ დავიწყებული. ამის მიზეზი ისევ და ისევ ქვეყნის საერთო მდგომარეობიდან მოდის, როდესაც მოსახლეობას არ აერთანებს საერთო, საერო მიზანი და ეს იმდენად მწვავედ დგას, რომ საერთო საოჯახო მიზნებიც კი აღარ არის შემორჩენილი, ყველაფერი ინდივიდის დონეზეა დასული, როდესაც არ აქვს მნიშვნელობა, რამდენად ახლობლები არიან ადამიანები ერთმანეთისთვის, მათი ყოველი დღის მიზანი მხოლოდ საკუთარი თავია. ამის მშვენიერი მაგალითია პლატონის პერსონაჟი, რომლის სახეც საინტერესოდ იცვლება ნაწარმოებში. დასაწყისში ის ბედნიერი თუ არა, კმაყოფილი მაინცაა ცხოვრებისგან -ამაზედაც გმადლობ უფალო!, „მაგრამ ხანგრძლივ ეს სოფელი გაახარებს ვინმეს განა?“ პლატონის მამის გაცხადებულმა სურვილმა ცოლის შერთვასთან დაკავშირებით და „პოტენციურმა მემკვიდრემ“ ბზარი გაუჩინა პლატონის „ბედნიერ“ცხოვრებას.

ძალიან საინტერესოდ გარდაიქმნება პერსონაჟის სახე - შვილი გვევლინება მამის მაშვლად. პლატონისთვის იმდენად მნიშვნელოვანია უკონკურენტო ცხოვრება, რომ ყველანაირ მორალურ-ზნეობრივს გადააბიჯა და დაიარება მამის დასაოჯახებლად. როგორც იქნა, დადგება დღე, როცა მამაც კმაყოფილია და შვილიც, დაიმედებულ პლატონს კვლავ უჩნდება სიცოცხლის ნაპერწკალი და მანამ ღვივდება, სანამ გაჩნება ეჭვი, რომ დედინაცვალი ფეხმძიმედაა. პლატონის კეთილი, მშვიდი ხასიათის პერსონაჟი გადაიქცევა დაუნდობელ მხეცად, რომელიც მზადაა ჯერ კიდევ დაუბადებელ არსებას წაართვას სიცოცხლე თავისი “ქონების“ დასაცავად. დ.კლდიაშვილის შემოქმედებაში პერსონაჟები არა უბედურები, არამედ

ტრაგიკულები არიან. უბედურ ადამიანს აქვს არჩევანის უფლება, მეტწილად შეუძლია ცხოვრებაზე ძემოქმედება, მაგრამ ტრაგიკულს არა.

პლატონის სახე, რომელსაც მხოლოდ ერთი სურვილი აქვს ამასაც არ არგებს ცხოვრება და განსაცდელს უმზადებს, მაგრამ არ ეგუება მას პლატონი და თავი უბედურ ადამიანად არ გამოყავს, იწყებს ბრძოლას. პირველი შერკინება არის მამასთან, როცა აქ ვერაფერს გახდება მეორე გეგმას ისახავს, მაქსიმალურად რომ დაიცვას თავისი „ცხოვრება“, როგორც უკვე აღვნიშნე, თვითონ ეძებს საცოლეს მამისთვის, ორ ნაქმრევ და უშვილო მოხუცს, როგორც იქნა იპოვის და შვების ამოისუნთქებს. შემდეგ ორსულობა და კიდევ ერთი ტრაგიკული ფაქტი, გაცხადდა ახალი სიცოცხლის, ბავშვის არსებობის შესახებ ამბავი და ისეა ნიადაგი შემზადებული, რომ ზოგადად შობის ბედნიერი მოვლენა, უდიდეს ტრაგედიად არის წარმოჩენილი. პლატონი კვლავ იმედიანადაა, ფიქრობს, გოგო დაიბადება, ან გარდაიცვლება, ან სხვა მრავალ ვერსიას უშვებს და საერთო ჯამში იბადება ჯანმრთელი ვაჟი...

სწორედ ესაა პლატონის ტრაგიკული ბედი, რომელიც ამდენი მცდელობის მიუხედავად მაინც ვერ შეცვალა. მაგრამ ამით არ მთავრდებს პლატონის ქმედებები ქონების დაცვისა. დარღვეულია პლატონისა და ჯერ კიდევ არ დაბადებული ძმის ურთიერთობა. არცერთი მათგანი არ იმსახურებს არსებულ რეალობას. მითუმეტეს ის ბავშვი, რომელიც „არასწორ“ ადგილზე დაიბადა და უწევს გაბოროტებული ძმის მოგერიება იმის ნაცვლად, რომ დატკბეს თავის ოჯახთან ცხოვრებით.

არანაკლებ ტრაგიკული ბედის მატარებელია მიქელა მოთხრობიდან „შერისხვა“. ამ ეპოქის ხალხს, როგორც ვიცით, განსხვავებული „პრობლემები“ აქვთ, მიქელას „პრობლემას“ კი წარმოადგენს გვარის ამოწყვეტის შიში. მთელი თავისი ოჯახიდან გვარის გამგრძელებლად მხოლოდ ორი შვილიშვილიღა შერჩა და მიქელა იყო გადართული მათ გაძლიერებაში, სწორედ ამ დროს გახდა შეუძლოდ უფროსი შვილიშვილი, ამ პერიოდიდან იწყება ბაბუა-შვილიშვილის ურთიერთობის რღვევა. მიცვალებულთა ურიკიდან მობრუნებული სპიდონა იმ მდგომარეობამდე მიიყვანა ბაბუამ, რომ კარავში მოკუნტული, სასიკვდილოდ გათვლილი წლის მოსვლას

ელოდა, რომელმაც არ დააყოვნა და მიქელას ხელით გაწყობილ უბედურებაში „დათქმულ დროზე ადრე“ შეწყდა მისი სიცოცხლე. ამ ტრაგიკულ მომენტს თან ერთვის მიქელას რეაქცია შვილიშვილის გარდაცვალებაზე, ბაბუას სევდა ხანმოკლე გამოდგა, ბავშვის მიბარების შემდეგ თითქოს წელშც იმართება და შვებას გრძნობს „ტვირთის“ მოშორების გამო.

ღმერთის მორჩილებაზე და მოთმინებაზე რომ ხელს იღებს, მიქელა წყდება ქრისტიანულ ზნეობას, ივიწყებს გულმოწყალებას, შებრალებას. მისი გეზისმიცემი ახლა ბრძოლის და გადარჩენის მორალია, რომელმაც შებრძოლება არ იცის. იგი მოითხოვს სისატიკეს, სხვა ადამიანის გაწირვას, მსხვერპლს. თვითგადარჩენის წყურვილი, საკუთარი ,,მე“-სათვის მარადიული და უშფოთველი არსებობის დამკვიდრებისაკენ ლტოლვა მიქელას დიდ ენერგიას აძლევს და დაძაბულად აამოქმედებს, ცხადია, მძიმე გაჭირვებიდან, სრული გაუბედურებიდან თავის დაღწევა რომ განიზრახოს კაცმა, და ამისთვის აქტიურ მოქმედებას მიამრთოს, თავისთავად ამაში არაფერია არაზნეობრივი, მაგრამ გააჩნია ამ მოქმედების ხასიათს, რაობას.

ადამიანი უნიკალური ფასეულობაა. ნებისმიერი ადამიანის სიცოცხლე გასაფრთხილებელია და რიდის ღირსია. ამდენად, დაუშვებელია მისი (ადამიანის სიცოცხლის) გამოყენება რაიმე (თუნდაც მაღალი) მიზნის მისაღწევად. ამის საპირისპიროდ, მიქელა სწორედ თავის მიზანს სწირავს სპიდონას სიცოცხლეს. მართალია, მას მიაჩნია, რომ სწორედ ასე შეიძლება გვარის, მოდგმის, ოჯახის გადარჩენა, და იმქვეყნად სულის სიმშვიდის მოპოვებაც, მაგრამ ეს როდი ამცირებს მისი ქმედების სისასტიკეს. მიქელა მოქმედებს, ასე ვთქვათ, ბუნებრივი გადარჩევის პრინციპით - ძლიერები და ჯანსაღები უნდა გადარჩენ, ხოლო სუსტები უნდა დაიაღუპონ, ძლიერთა კეთილდღეობას უნდა ემსხვერპლონ.

მიქელა მხოლოდ დაბრკოლებასღა ხედავს ავადმყოფ შვილიშვილში, რომელმაც შეიძლება სენი გაავრცელოს და ამიტომ მას მოიკვეთს, ,,განწმენდილ სახლს არ აკარებს, ყოველნაირად გაურბის მასთან სიახლოვეს, თუ რამეს უკეთებს, უსულგულოდ, უხალისოდ. ავადმყოფი ხიფათია, რომელიც მიქელას მიზანს ემუქრება და ეს მიზანი უქვავებს ბერიკაცს გულს. იგი ცოცხალ ადამიანებს, თანაც მის

ახლობლებს უკვე (მას შემდეგ, რაც მასში გაიღვიძა ,,შიგნით დამალილმა ადანიანმა“) სხვანაირად ვეღარ აღიქვამს, თუ არა როგორც ამ მიზნის მიღწევის გამაძნელებელ ზედმეტ ბარგს, ან მიზნისთვის გამოსადეგს. ის, რომ ავადმყოფი, მისივე თქმით, მარტო ერთი წლითაა საიქიოდან დაბრუნებული და მერე ისევ იქ უნდა გადასახლდეს, მიქელას, ცხადია, არ ამართლებს. მხოლოდ თავისთავთან თუ სხვებთან თავის მართლებაში ეხმარება, -. თვითშენარჩუნების დაუოკებელი ვნება რომ არა, მას შეეძლო, უბრალოდ, დალოდებოდა ,,დათქმული ვადის“ გასვლას, მანამდე კი ავადმყოფისთვის ადამიანურად მიეხედა, შვილიშვილები კი ერთმანეთისთვის მოერიდებინა, როგორც აქამდე იქცეოდა.

უხმაურო, ჩემი დრამატიზმით და სულის შემძვრელი საგნობრიობით არის გამოსახული სასიკვდილოდ განწირულის მარტოობა, სისაწყლე, ფიზიკური და შინაგანი ტანჯვა. ხოლო მისი დამღუპველი აბობოქრებული ბუნების სტიქიის სურათი თითქოს ადამიანის ცხოვრების და მატერიალური სამყაროს სისატიკეს, უგუნურებას გამოხატავს ენერგიულად.

ვერ ვიტყვით, რომ მიქელა სრულიად არ სწუხდეს თავისი დაუნდობლობის გამო, რომ მისთვის სრულებით უცხო იყოს სიბრალულის გრძნობა. წუხილი, სიბრალული არა ძლიერად, მაგრამ მაინც იჩენს თავს. ყოველ შემთხვევაში, განწირულის სიკვდილის შემდეგ, მაგრამ მთავარი მოთხრობაში პერსონაჟის ხასიათის და ფსიქოლოგიის თავისებურებები კი არ არის, არამედ ტრადიციული რელიგიური და მორალური მრწამსისგან მისი დაშორება და ამის კანონზომიერი შედეგები. ღმერთის იმედის და ნდობის დაკარგვას, ღმერთის მორჩილების და მოთმინების ვალზე უარის თქმას მოყვება გულმოწყალების დავიწყება და სისასტიკე. დამოკიდებულება ადამიანთან, როგორც უსულო ობიექტთან, საშუალებასთან... ხოლო ის ძალა, რომელიც ყოველივე ამას იწვევს, არის თვითშენარჩუნების თავშეუკავებელი ინსტინქტი, საკუთარი სიცოცხლის ამა თუ იმ ფორმით ნებისმიერ ფასად გამყარების ჟინი. გასაგებია, რომ მღვდელი კიცხავს მიქელას ავადმყოფისადმი უგულო მოპყრობის გამო, რაც მას სიცოცხლეს მოუსწრაფებს. მიქელას სხვა არაფერი

აქვს პასუხად იმის გარდა, რომ ზრუნავდა მეორე შვილიშვილზე, რომელზეც თავის იმედებს ამყარებს: ,,ის უნდა იყოს ჩემი პატრონიც და სულის მაცხონებელიც“

დავით კლდიაშვილის მსოფლგანცდა და სტილი ვერ იგუებს მორალურ მსჯავრმდებლობას. მწერალი არც მიქელას განკითხავს, ეს გასასტიკებული ადამიანი მისთვის, უპირველეს ყოვლისა, მაინც საცოდავი არსებაა. იგი ამ პერსონაჟს, ისევე, როგორც სხვა პერსონაჟების უმეტესობას, ხედავს დამთრგუნველ გარემოებებზე დამოკიდებულს, მატერიალური სიდუხჭირის, გონებრივი სიბნელის, ინსტინქტის საცეცებში უმწეოდ მომწყდეულს და ღრმად, მტკივნეულად თანაუგრძნობს მას. მაგრამ ასეთი შემწყნარებლობა, თავისი გმირების საცოდაობის სათუთი განცდა ხელს არ უშლის მწერალს სრულიად ცხადად, გარკვევით გაარჩიოს ერთმანეთისაგან ცოდვა და მადლი. დავით კლდიაშვილის ზნეობრივი კრიტერიუმები მუდამ მკვეთრი და ზუსტი რჩება. სიბრალული არაზნეობრივის გამართლების ტოლფარდი არ არის.

მორალურ-ზნეობრივი პრობლემები, რაც შემოდგომის აზნაურებს კვალდაკვალ სდევს საფუძველია კავშირების რღვევისა. არსებულ რეალობაში ცხოვრება სხვადასხვა „გასაჭირს“ უქმნის მოსახლეობას. ერთ-ერთი მათგანია დარისპან ქარსიძე, რომელიც შემოსავლის დაკარგვის გამო ქალიშვილებს ვეღარ ათხოვებს. ძალიან კარგად არის ნაჩვენები მამა-შვილური კავშრი მძიმე ცხოვრების ფონზე. პიესა, როგორც დავით კლდიაშვილს ჩვევია, იუმორნარევადაა შესრულებული, კითხვის დროს, ხშირად გვეცინება კიდეც პერსონაჟების საქციელზე, მაგრამ საერთო ფაქტი, თუ როგორ ცდილობენ მშობლები, რომ შვილები თავიდან მოიცილონ, სატირალი და ძალიან სამწუხაროა.

ზნედაცემულობა და პირფერობა იმერელ აზნაურთა თანდაყოლილი სენი იყო. ამის ნათელი მაგალითია და-ძმის კავშირი მართასა და დარისპანის სახე, პიესიდან „დარისპანის გასაჭირი“. როდესაც მართა შეიშნავს მასთან მიმავალ ძმას, იმის ნაცვლად, რომ გაიხაროს თავისი დიდი ხნის უნახავი ძმისა და ძმის შვილის ნახვით, პირიქით, იძახის ეს ვინ მოთრეულაო, აქ რა დაკარგვიაო. აქვე საგულისყუროა მამიდა-ძმისწულის ურთიერთობა. გამუდმებით ცდილობს მართა, რომ კაროჟნას შეფარვით დასცინოს და ხელიც კი შეუშალოს პოტენციური სასიძოს

მოხიბლვაში. ცალკე კაროჟნაზე კი ბევრის თქმაც შეიძლება. „კაროჟნა“ დახასიათებულია, როგორც მორცხვი, მანჭია და უშნო ქალი. სინამდვილეში კი ულამაზესი ქალია ამ სახელის მატარებელი. მის სილამაზეზე გალაკტიონიც კი საუბრობს და მას შემდეგი სიტყვების მოიხსენიებს: „-მშვენიერზე მშვენიერი კაროჟნა“.

ნაკლებად ჩანს კაროჟნას დამოკიდებულება სამყაროზე, სამყაროს დამოკიდებულებას კაროჟნაზე კი ნათლად ვხედავთ. მამა ცდილობს სხვას „შეასაღოს“, სხვა ცდილობს „ივაჭროს“ კაროჟნათი, მამიდა სულაც ცდილობს თავისი ნათლულით გადაფაროს კაროჟნას არსებობა. თვითონ კაროჟნას კი მხოლოდ ერთადერთი „ნაკლი“ აქვს, რომ ის არის ქალი და შესაბამისად „ტვირთი“ ოჯახისთვის.

იგივე ბედის მატარებელია სონია, რომელსაც დედა მხოლოდ იმიტომ ათხოვებს, რომ მის ვაჟს, ბეგლარს გაუთავისუფლოს გზა, ხოლო ოტიას მხოლოდ იმიტომ მოყავს ცოლად, რომ სხვა ქალს, რომელმაც ოციკოს ცოლობაზე უარი თქვა, აჩვენოს, როგორ მოყავს ცოლად ქალაქში გაზრდილი ქალი. მართალია, არც მომავალ ქმრებს ჰქონდათ დალხენილი ცხოვრება, მათაც უჭირდათ თავის გატანა, ცოლის შერთვის ძირითადი მიზანიც მათი მზითვით ფინანსური გაძლიერება იყო, მაგრამ ნებით თუ უნებლიედ აუბედურებდნენ ისედაც უბედურ ქალებს. მათ რიგშია მშვენიერი და ჭკვიანი ირინეც. მიუხედავად იმისა, რომ მას აქვს თავისი საღი აზრი და არჩევანი, მაინც არავინ უსმენს და ცოლად მოყავს იმ კაცს, რომელსაც „ირინე უნდა“, უნდა მხოლოდ მას და ახერხებს კიდევაც მოიპოვოს, შემდგომ კი ამ ახალგაზრდა, მშვენიერ ქალბატონს სიცოცხლეს უმწარებს თავისი ეჭვიანობით.

დავით კლდიაშვილის შემოქმედებაში, როგორც უკვე არაერთხელ აღვნიშნეთ ფერმიხდილია საზოგადოებრივი ურთიერთობები, სადაც ყოველი მხარე დაზარალებულია, თუმცა, გამორჩეულად უნდა აღინიშნოს ქალი პერსონაჟების სახე, რომლებზეც ორმაგად მოქმედებს არსებული ვითარება. ისინი არიან მსხვერპლნი ღარიბი საზოგაოებისა, საკუთარი ოჯახი ზედმეტ ტვირთად, მჭამელად აღიქვამს და იშორებს, ხოლო მომავალი ოჯახი - მოსამსახურედ იძენს მათ. ყოველივე ამას თან

სდევს პატრიარქალური ადათ-წესებისა და ცრუმორწმუნეობის გავლენა საზოგადოების ცხოვრებაზე. მოთხრობაში „მსხვერპლი“, სწორედ ამ დამოკიდებულებათა მხილებაა წარმოდგენილი, რაც საბოლოოდ უცანაშაულოდ დაღუპულ ადამიანებამდე მიდის.

„მსხვერპლის“ მთავარი გმირები არიან ახალგაზრდა ქალი მარინე, თავისი მშობლები - მარკოზი და ესმა, აგრეთე, მარინეს ქმარი ნიკა და დედამთილი ფეფენა. თითოეული მათგანი ირგვლივ გამეფებული წყვდიადისა და ცრუმორწმუნეობის მსხვერპლნი არიან. დ.კლდიაშვილის სხვა ქალი პერსონაჟებისგან განსხვავებით მარინე ხალისიანი პატარძალია, მან სულ ახლახანს შეაბიჯა ახალ ოჯახში ფეხი, იმედიანი და სიცოცხლით აღსავსეა, მის გვერდით კი ჩნდებიან პერსონაჟები რადიკალურად განსხვავებული თვისებებითა და მიზნებით. ერთი მხრივ ქმარი - სიღარიბესა და ობლობაში გაზრდილი, უნებისყოფო და დამძიმებული ხასიათით, მეორე მხრივ კი - დედამთილი, სასტიკი და მკაცრი ხასიათის ქვრივი.

მალევე ირღვევა რძალ-დედამთილური კავშირი და იწყება აშკარა ბრძოლა, რომლის შედეგიც აისახა მხოლოდ მარინეზე, ჩამოხმა, დასნეულდა და „კუდიანობის“ სახელიც დაიმსახურა, რომელთა ბრძოლაშიც მარინეს სიცოცხლე დასრულდა. საკვირველია, რომ არავის გამოუთქვამს საყვედური დავით კლდიაშვილის ამგვარ მძაფრ ასახვაზე, რომელიც თითქოსდა რეალობასაა მოწყვეტილი და გადაჭარბებულია, ის კი არა თავად დავითიც ამბობს, რომ იჩქარა „მსხვერპლის“ დაწერა და ამ სიჩქარეში სრულად ვერ გადმოსცა და თქვა ის, რისი თქმაც უნდოდა ამ ნაწარმოებით.

არაფრის მომცემი სიტყვების სროლა, სხვა საქმის კეთება და სხვა კუთხით საუბარი ჩვეული მოვლენა იყო აზნაურთა და ამ ეპოქის გლეხთათვის. ერთმანეთის თვის თვალებში ნაცრის შეყრა. განა არ იციან? ვერ ხვდებიან? მაგრამ სხვა გამოსავალი არ აქვთ. როგორც უკვე ვახსენეთ სტუმრად მიპატიჟების სცენები, როდესაც ეზოში მოსულ სტუმარს გამუდმებით ეპატიჟები შინ იმის მისართმევად რაც არ გაქვს, სტუმარმაც იცის რომ შინ არაფერი ელოდება და თავს იტყუებს, თითქოს ძალიანაც კი

უნდა მასპინძლის სუფრას მიუჯდეს, მაგრამ სხვა საქმეები ექაჩება. არადა ორივე მხარემ იცის რეალობა. სხვას საუბრობენ, სხვას აკეთებენ.

მსგავსი დამოკიდებულება იკვეთება პიესა „უბედურებაში“. ერთად შემოკრებილი სამეზობლო, რომელიც მზადაა გარდაცვლილი ანტონას ოჯახს ყველანაირად დაუდგეთ გვერდში. სწორედ ამ დროს იკვეთება პირველი საჭიროება ოჯახისთვის და როცა ფაქტის წინაშე დგებიან ყველას უკან მიაქვს თავისი სიტყვა. სიტყვისა და ფაქტის აცდენასთან ერთად, ამ სიუჟეტში სხვა რეალობასაც ვხედავთ, ესაა დამოკიდებულება რწმენისადმი. მართალია, აღარავის სჯერა უფლის, უიმედო უღმერთო დამოკიდებულებები აქვთ, მაგრამ როცა საქმე უბედურების გადალოცვას ეხება. ყველა იჯერებს სულიერების არსებობას. ვითარება, რომელიც საშინელ „პრობლემებად“ იქცევა ხოლმე პერსონაჟებისთვის, ნამდვილად ღიმილნარევი სევდაა. რწმენა იმისა, მომაკვდავს უბედურებას აცილებენ, მის ქვემოთ მცხოვრებ ხალხს ჯერა რომ ოჯახის უბედურება მასთან გადავა.

აზნაურთა ხელგაშლილი ცხოვრების წესი. ძველად თუ ეს საქმით იყო, ახლა მხოლოდ სიტყვით შეუძლიათ ხელგაშლილობა გამოხატონ. მაგ, სოლომან მორბელაძე როცა მასთან მოსულ მევალეს შინ იპატიჟებს, ამ ხანგრძლივი მიპატიჟების სცენის შემდეგ კი ცოლი გამოდის საყვედურით სოლომონის მიმართ, რომ სახლში არ ქონდა არაფერი და სტუმარს რისთვის პატიჟებდა, სწორედ აქ ჩანს ამ პერიოდის აზნაურთა სახე, როცა ამ ფაქტს სოლომანი ხსნის როგორც აზნაურთა წესს, რომ მათი ვალია გულწრფელი მიპატიჟება და აქვე უნდა აღინიშნოს მევალის როლი. სოლომანმაც და მევალემაც ზუსტად იციან, რა ხდება მათ ირგვლივ, სოლომანი მევალეს ატყუებს, მევალე თავს იტყუებს და ისინი ამ ტყუილში გააზრებულად ცხოვრობენ. ურჩევნიათ თავი აზნაურებად იგრძნონ და ერთმანეთის ტყუილს შეეგუონ, ვიდრე ამ რეალობას თვალი გაუსწორონ.

ერთადერთი, რაც მათ ამ ტყუილიდან გამოახედებთ, არის ფინანსური სიძლიერე, რომლის მოძიებაც არა საკუთარი შრომით, არამედ ისევ სხვადსხვა მორალურ-ზნეობრივ თვისებებზე გადაბიჯებით სურთ. მაგ. „დარისპანის გასაჭირი“, როდესაც ოსიკო, რომლის წინაშეც ორი ულამაზესი ქალიშვილია, სხვადასხვა

თვისებებითა და ნიჭით დაჯილდოვებული, კითხულობს მხოლოდ ერთს -აქვთ რამე?.. როდესაც ცოლიც მზითვისთვის მოყავთ, მეტი სხვა ფასეულობა აღარ გააჩნია ოსიკოს. და ამ სურვილით იმდენად დაბრმავებულია, რომ პიროვნებას მალავს და თავს უცხოელად წარადგენს პოტენციური მზახლების წინაშე.

შემოდგომის აზნაურთა „პრობლემები“ მეტად საინტერესო და მრავალფეროვანია. თითოეულ მათგანში ნათლად ჩანს თუ რა ღირებულებების მატარებელნი არიან ამ ეპოქის ადამიანები. მაგალითად, გალაკტიონის „პრობლემას“ წარმოადგენს მეზობლის დამშეული ღორები. იმის ნაცვლად, რომ გალაკტიონმა ღობე შეაკეთოს და ამგვარად აირიდოს ცხოველთა შემოსევა თავიდან, ის მიმართავს თავისი ცოლის ნათესავს, ალექსანდრეს, რომელიც მაზრის სამმართველოში მუშაობდა თარჯიმნად. გალაკტიონმა ჩათვალა, რომ თუ პატივსაცემი ხალხი მის ეზოში მოილხენდა და ბაკულას რამდენიმე მკვახე სიტყვასაც ეტყოდა, ამით შეშინდებოდნენ და მის ბოსტანს მოაშორებდნენ პირუტყვს. მეტად კომიკური ვითარება იქმნება გალაკტიონის დაგეგმილ საღამოზე, დამშეული ღორები ერთიანად შეესივნენ არა ბოსტანს, არამედ სტუმრებისთვის გაშლილ სუფრას. რა თქმა უნდა, „პრობლემა“ „პრობლემად“ დარჩა, რადგან საზოგადოებას უჭირს იმის გაცნობიერება თუ რეალურად რა პრობლემის წინაშე არიან და მას თან ერთვის ამ პრობლემის მოგვარების გზები.

დავით კლდიაშვილის შემოქმედებითი მეთოდი მკაცრად განსაზღვრულია: ეს არის სინამდვილის მხატვრული ასახვის რეალისტური მეთოდი. ამასთანავე, თუ კრიტიკული რეალიზმი ჩვენში ამკვიდრებდა რომანტიკულ პათოსსაც, დ. კლდიაშვილმა უარყო ყოველგვარი რომანტიკა და აჩვენა საზოგადოებრივი ცხოვრების ობიექტური სურათი.

თუ ხალხოსნური მწერლობა ცალმხრივად ავითარებდა ე. წ. შეუფარავი რეალიზმის მეთოდს, ყურადღებას ამახვილებდა მხოლოდ სოციალურ სინამდვილეზე, ასახავდა მას ფოტოგრაფიულად, მიმართავდა ,,პუბლიცისტურ ქადაგებას“, დ. კლდიაშვილმა სოციალურ სინამდვილის მხილებასთან ერთად მხატვრის მზერა მიმართა ამ სინამდვილის მსხვერპლთა შინაგანი, სულიერი

მდგომარეობისკენ. აქედან მომდინარეობს, მაშინდელი კრიტიკის გამოთქმა რომ ვიხმაროთ, მხატვრული ასახვის ,,ობიექტური“ სტილი და ფსიქოლოგიური ანალიზის მეთოდი, რითაც ერთბაშად გამოირჩა დ. კლდიაშვილის პროზა.

მე-19 საუკუნის 90-იანი წლების ქართული პროზისათვის ეს იყო თვისობრივად ახალი მოვლენა. ყველა ეს ნიშნები მკაფიოდ გამოიკვეთა დ. კლდიაშვილის იმ მოთხრობებში, რომლებიც გლეხკაცობის თემაზეა შექმნილი: ,,შერისხვა“,,მსხვერპლი“, ,,მრევლში“, შემდეგ მათ მიემატა ,,მიქელა“.

გლეხკაცობის თემაზე შექმნილი ყველა ამ მოთხრობის საერთო ფონი ტრაგიკულია. მწერალმა შეგნებულად მიმართა სიღარიბისაგან გულგაქვავებული ადამიანების ყოველდღიური ყოფის დეტალებს. უბრალო, ჩვეულებრივ ადამიანთა ხასიათის ფსიქოლოგიურ ანალიზს და ამნაირად კიდევ უფრო მძლავრად წარმოაჩინა მძიმე სოციალური ყოფის სურათი.

გლეხკაცობის თემაზე დაწერილ მოთხრობებში ფსიქოლოგიური ანალიზი სჭარბობს სოციოლოგიურ ანალიზს.

მნიშვნელოვანია, რომ ქართული სინამდვილის შინაგან კრიზისს გამოხატავს მწერალი ამ ნაწარმოებებშიც. აქ დრამატულად არის ნაჩვენები ადამიანის ნაცადი ორიენტირების შეცვლა, ეს შეცვლა, კერძოდ, ცხოვრების ქრისტიანული გაგების, ზნეობისა და მორალისთვის ზურგის შექცევა, განსაკუთრებით დაწურულად არის მხტვრულად გამოსახული და გააზრებული მოთხრობებში ,,შერისხვა“ და ,,მიქელა“.

,,შერისხვაში“ ჩვეულებრივი და საკმაოდ უმნიშვნელო ყოფითი თუ სოციალური კონფლიქტი გმირის არამარტივ, მკვეთრ ხასიათს გამოამზეურებს და მისი სულიერი დრამის ბიძგის მიმცემი ხდება. სოფელი კაციას მიწის ერთ ნაწილს გზად აქცევს. კაცია არ ეპუება არც სოფელს, არც სასამართლოს, რომელიც ადასტურებს სოფლის ნებას; მთავარი ის არ არის, რომ მიწის ნაკვეთს კარგავს მთავარია, რომ, როგორც თვითონ ფიქრობს, შეურაცხყვეს, ღირსება შეულახეს, უსამართლოდ მოეპყრნენ. მას მრისხანება, სამაგიეროს გადახდის ვნება ეუფლება და, როცა კანონის ძალით ვერაფერს მიაღწევს, სოფლის მოსამართლეს ხატზე გადასცემს.

მაგრამ ხატი სასჯელს აგვიანებს. კაციას აღშფოთება და განაწყენება ახლა ღმერთსაც მიწვდება და ის ხატს გმობს.

ბეჟან ბარდაველიძე ,,შერისხვისადმი“მიძღვნილ თავს თავის წიგნში ასე ასათაურებს: ,,მოთხრობა ღვთისა და კაცის წინააღმდეგ ამბოხებული გლეხკაცის შესახებ“ და მართალიცაა: კაცია ნამდვილად არის ღვთისა და კაცის (სოფლის) წინააღმდეგ ამბოხებული, მაგრამ სხვა საკითხია, როგორია თავისი შინაარსით ეს ამბოხება.

მოთხრობის გმირის და სოფლის კონფლიქტს თუ დავაკვირდებით, დავინახავთ, რომ თავდაპირველად სოფელი შეცდომას უშვებს: თუმცა იგი იძულებულია კაციას ნაკვეთზე გზა გაიყვანოს, მაგრამ კაციას აზრს არ კითხულობს. შეგონებას, თუ გნებავთ, თხოვნას კი არ მიმართავს, არამედ იყენებს თავის უპირატესობას, კერძო ინდივიდთან შედარებით ბუნებრივად რომ აქვს; კაცია სოფლისაგან არ იმსახურებს ამას. პირიქით, იგი სოფელს კეთილად ეპყრობა, პატივს სცემს, მანამ სანამ მისი თავმოყვარეობა, პიროვნული ღირსება არ შეილახება : _ იგი არ უშლის სოფლელებს მისი მიწა სავალ გზად აქციონ, დარწმუნებულია, რომ როცა დაჭირდება თავის მიწას ისევ გამოიყენებს, ე. ი. ვერც წარმოუდგენია მიწის ძალად წართმევა.

სოფელს სხვა საშველი არ ჰქონდა, გზა კაციას ნაკვეთზე უნდა გაეყვანა. კაციას რომ ნაკვეთი შესასვენებლად არ გაეშვა და ღობეც არ მოეშალა, მაშინ აუცილებლობის შემთხვევაში, სოფელი ალბათ თხოვნით მიმართავდა კაციას, დაეთმო სოფლისთვის მცირე ნაწილი მიწისა. შესაძლებელია, მაშინ არც კაცია წამოსულიყო წინააღმდეგი, მაგრამ სოფელმა ფაქტის წინაშე დააყენა კაცია და არც ეცადა, ადამიანურად ეთხოვა მიწა. მართალია, კაცია გამომწვევად და კადნიერად უპირისპირდება საზოგადოებას (,,ფეხზე მკიდია სოფელი“) მაგრამ მანამდე თვით სოფელმა დაიკიდა ფეხზე კაცია. სიმრავლე (ძალა) იმარჯვებს სიმართლეზე.აქედან მოდის პერსონაჟის წრეგადასული ჯავრი, გაკერპება, შურისძიების სურვილი. მაგრამ ეს ჯავრი თანდათან ყოველგვარ საზღვარს გადასცდება და კაციას სიმართლეც იკარგება...

თავის თავზე მაღალ ,,ინტონაციას“ კაცია არ სცნობს - არც საზოგადოების ნებას და ინტერესებს, არც სამართალს და კანონს... გარკვეულ ზღვრამდე ეს კიდევ დასაშვებია, საპატიოც კი; შეიძლება საზოგადოება ტყუოდეს ერთ კაცთან და პიროვნება გამოვიდეს საზოგადოების წინააღმდეგ. შეიძლება კანონიც ტყუოდეს ერთ კაცთან და პიროვნება გამოვიდეს კანონის წინააღმდეგ... მაგრამ მორწმუნე კაცია არც ღმერთის სამართალს სცნობს. იგი თვითონაა ჭეშმარიტების ერთადერთი მფლობელი. მხოლოდ მან იცის, რა არის სამართალი და სამართლიანობა. ყველაფერი ისე უნდა იყოს, როგორც კაციას სურს, თვით ღვთის ნება მის ნებას უნდა დაემთხვეს. ქრისტიანული ცნობიერება დარღვეულია და ამოპირქვავებულია.

მართალია, რომ სოფელმა წაართვა კაციას მიწის ნაკვეთი, მართალია, რომ სოფელმა გამოიყენა თავისი უპირატესობა და ყური არ უგდო კაციას რისხვას, რითაც, ფაქტიურად, პიროვნების ღირსება დაამცირა, ხოლო ღმერთმა (ხატმა) არ დასაჯა დამნაშავე, მაგრამ ნუთუ ეს საკმარისი პირობაა იმისთვის რომ მორწმუნე ადამიანმა ხატი ჰგმოს? პერსონაჟის პასუხი, რაქცია არ არის სიტუაციის შესაფერისი. უსამართლობა არ არის იმ ზომის, რომ მასზე ასეთი რეაგირება მოსალოდნელი იყოს!

ღმერთი, ღვთისადმი რწმენა არის ადამიანისთვის ორიენტირი, ჭეშმარიტების და მცდარობის, სიკეთის და ბოროტების, მშვენიერების და სიმახინჯის განსხვავებისათვის. ადამიანი ემორჩილება ღვთის ნებას, ზნეობრივ მცნებებს. ღვთის ნება განუზომელად და შეუდარებლად მაღალია მის სურვილებზე და იგი აღიარებს ამას, გასაჭირს და განსაცდელს ითმენს, იტანს. კაცია პირიქით, ღმერთისგან მოითხოვს მორჩილებას, თავის სიმართლის დამოწმებას. ცხადია, თვით შურისძიების წყურვილს, ღვთისგან მტრად ჩათვლილი პიროვნების დასჯის ჯიუტ, გაავებულ მოთხოვნას ქრისტიანობასთან საერთო არაფერი აქვს.

კაციამ ხატზე გადასცა ანდრია რომელიც მის წინაშე სხვებზე მეტად არაა დამნაშავე, და ელოდება შედეგს-ანდრიას დასჯას. ხატმა არ დასაჯა ანდრია. მოსალოდნელია, რომ ასეთ შემთხვევაში მორწმუნე კაცი უნდა ჩაუფიქრდეს თავის საქციელს, ჩაუღრმავდეს საკუთარ თავს. ხომ სჯერა კაციას რომ საქმე ხალხზე უკეთეს მოსამართლეს (უზენაეს მოსამართლეს) გადასცა. ამიტომ ხომ უნდა დაუშვას კაციამ ,

რომ იქნებ ანდრია არ იმსახურებს ასეთ სასჯელს? მაგრამ კაციას აღარ აინტერესებს სიმართლე, მას მხოლოდ საკუთარი სურვილის(შურისძიების სურვილის) დაკმაყოფილება სურს. კაციასთვის არ არსებობს ობიექტური ჭეშმარიტება, მისთვის სიმართლე მხოლოდ ის არის, რაც მას, პირადად მიაჩნია სიმართლედ.

ღმერთის სამართლიანობის, უფრო მეტიც, მისი არსებობის აღიარების პირობა ხდება მის მიერ ,,სოციალური სამართლიანობის" დაცვა-აღსრულება. ოღონდ ისე, როგორც ეს სუბიექტს წარმოუდგენია. ანუ, წარმოდგენა სამართლიანობაზე სუბიექტივიზებულია, სუბიექტის ჟინით განისაზღვრება. თუმცა, საჭიროა ითქვას, რომ ღმერთისადმი კაციას ურჩობა, ღმერთის მიმართ მისი ამბოხი არ არის მოკლებული თავისებურ პრინციპულ საფუძველს. მისი აზრით, ღმერთი მოვალეა დასაჯოს დამნაშავე, რათა ადამიანებს ცოდვისა და მადლის გასარჩევი თვალსაჩინო და უცთომელი საზომი ჰქონდეთ: ,,მაშ სიავკაცე და ავაზაკობა ჯობნებია სიმართლეს?! - ამბობს კაცია, - საიდან გაიგოს კაცმა, რომელი ჯობია, თუ წმინდანიც ყურს არ მიაქცევს შევიწროებული ადამიანის თხოვნას და თავის დროზე არ დასჯის კაცის შემაწუხებელს?" მაგრამ ღმერთისადმი წაყენებული ეს პრეტენზია, როგორც უკვე ვთქვი, არსებობის უფლებას აძლევს მხოლოდ ერთ კრიტერიუმს - სუბიექტურ ნებასურვილს და შეხედულებას. აღმოცენებულია წვრილმანი მიზეზით გამოწვეული უზომო განაწყენებიდან და აღძრულია მხოლოდ საკუთარი ჟინის დაკმაყოფილების შეუპოვარი მოთხოვნილებით, უსაზღვრო თვითნებობით. (კაცია ვერ უძლებს თავისი შეცოდების სიმძიმეს, მისი ღვთისადმი ურჩობა სულიერი წამებით იცვლება, მაგრამ ეს ტანჯვაც კვლავ იმას მოწმობს, რომ მოთხრობის გმირის რელიგიური ცნობიერება გამრუდებულია.- მას არ აქვს მონანიების ძალის რწმენა და ღვთისგან პატიების მიღების იმედი. კაციას თანასოფლელების შეგნებაც არსებითად არაქრისტიანულია, არაზნეობრივია. ეს ჩანს კაცისადმი თავდაპირველ დამოკიდებულებაშიც და იმაშიც, რომ მათში აღმოფხვრილია შემწყნარებელი და მიმტევებელი ღმერთის სახე: ისინი თვლიან, რომ კაციას დატირებით ღმერთს აწყენინებენ.) თუ კაციას ამბოხს შევუდარებთ ვაჟას მიერ წარმოსახულ პიროვნების მსოფლმხედველობრივ

დაპირისპირებას საზოგადოებასთან, ცხადი გახდება ამ პერსონაჟის პროტესტის მასაზრდოებელ იმპულსთა ეგოცენტრისტული წარმომავლობა.

მოთხრობის მთავარი პრობლემა და სათქმელი წარმოდგენილია მღვდლის ქადაგებაში, რომელიც კაციას მოქმედების შეფასებას და გააზრებას შეიცავს. ,,ერთობ უცნაური ხასიათისა ვართ... ბუზს არ გადავიფრენთ ხანდახან თავზე... გულისწყრომას ხომ საზღვარი არ აქვს ხშირად... თუ რამე დავიჟინეთ, იმის გადათქმას სიკვდილს ვარჩევთ, თუნდაც მტყუანი ვიყვეთ... უთუოდ ჩვენს ნებაზე უნდა იქნეს ყველაფერი და თუ ისე არ იქნა, საშუალებასაც აღარ გავარჩევთ, ოღონდ კი სურვილი ავისრულოთ... დათმენა რა არის... ხშირად არც კი გვინდა ვიცოდეთ, და აი, სადამდე მივყავართ ამნაირ ჩვენს ხასიათს. თვით ღმერთსაც კი ვებრძვით. კაცი წმინდანს ებრძვის, რატომ ჩემს ნებაზე არ გაიარეო, რატომ ჩემი ნება არ აასრულეო... აი სადამდე მიდის ჩვენი უგუნური გულისწყრომა. დამშვიდდით, შვილებო, ისწავლეთ მოთმინება, რომ გულფიცხობაში ჩადენილი საქციელი შესანანებლად ისევ თქვენვე არ დაგრჩეთ.

დასკვნა

„შემოდგომის აზნაურის“ მხატვრული სახის შექმნით დავით კლდიაშვილმა მწერლის თანამედროვე სოციალურ-ეკონომიკურ კრიზისს შეწურული საზოგადეობა აღწერა. ბრძოლა არსებობისათვის, საერთო გაჭირვების მძაფრი შეგრძნება მისი ნაწარმოების გმირებს დრამის პერსონაჟებად აქცევს. აქედან იღებს სათავეს დრამატული პათოსი, რომელიც აზნაურული რკალის ნაწარმოებთა მხატვრული სტილის უმთავრეს ნიშანს წარმოადგენს.

დავით კლდიაშვილის შემოქმედებით სამყაროში პერსონაჟები ერთნაირი მორალურ-ზნეობრივი ცხოვრებით ცხოვრობენ - ყველას აკლია თავისუფლება, თუმცა თითოეული მათგანი ფიქრობს, რომ აკლიათ ფული. ყველანი გადართულნი არიან მატერიალური ცხოვრების საფიქრალზე, ხოლო ერთმანეთის სიყვარული და ყველაფერი სულიერი აქვთ დავიწყებული.

დავით კლდიაშვილის თითოეული ნაწარმოების ხელმეორედ წაკითხვა ახალ სამყაროში გამოგზაურებს, ახალ რეალობას დაგიყენებს პირისპირ და გამწუხრებს ის ფაქტი, რომ ამ, ერთი შეხედვით, იუმორისტულ ქმედებებში რამდენი ნამდვილი სევდაა. სწორედ ამიტომ, დავით კლდიაშვილი არასდროს დარჩენილა თაროზე, განსაკუთრებით ახლა, როდესაც რელიგიურ-პოლიტიკური ცრურწმენებისა და ადამიანური სიმდაბლის ხანაში ვიმყოფებით, მნიშვნელოვანია, რომ კიდევ ერთხელ გადავიკითხოთ მისი შემოქმედება.

დავით კლდიაშვილის შემოქმედებაში აშკარად ჩანს ხალხის დამოკიდებულება რწმენისადმი. მიუხედავად იმისა, რომ პირდაპირ არ ეხება და არ აღნიშნავს დავითი მათ რელიგიურ მრწამსს, მაგრამ მისი პერსონაჟები კარგად ასახავენ იმ ფაქტს, თუ როგორ მოწყდნენ ისინი ცხოვრების ქრისტიანულ გაგებას. და ქრისტიანულ ზნეობას. როგორც წესი, მის ნაწარმოებებს ვუყურებთ სოციალურ ჭრილში, ან ტრაგი-კომიკურ ჭრილში და სასვსებით რეალურად ასახავს ამ პერიოდის აზნაურთა თუ გლეხთა მდგომარეობას, მათ ნადვილად უჭირდათ, შრომობდნენ

კიდევაც, მაგრამ მაინც უჭირდათ თავის გატანა და ა.შ. მაგრამ შეგვიძლია შევხედოთ უფრო ფართო ჭრილში და განვიხილოთ, როგორც ღმერთი და ადამიანი. იმიტომ, რომ დავიწყებული ყავთ ერთმანეთი, დავიწყებული აქვთ მორალი და მათი მამოძრავებელი ძალა არის ეგო. სწორედ ამ ეგოში ჩაძირულები სავსებით სამართლიანად ისჯებიან.

იმის მსგავსი ვითარება, როგორც ,,შერისხვაში“ და ,,მიქელაში“ სახიერდება, დავით კლდიაშვილის სხვა ნაწარმოებებშიც არის გამოვლენილი. ,,მსხვერპლში“ ტრადიციული საყოველთაო მორალური შეგნება ძირგამოთხრილია და ადამიანებს ერთმანეთის ძალმომრე თვითნებობისაგან არაფერი იცავს. ღმერთის მორჩილების და მოთმინების მორალის სიცოცხლისუნარიანობა დაშრეტილია ,,უბედურებაში“. პიესის პერსონაჟები გადაწყვეტენ მძიმე გაჭირვებას პასიური მოთმინების ნაცვლად აქტიური ქმედება და სოლიდარობა, ერთგვარი ,,გონივრული ეგოიზმი'' დაუპირისპირონ, მაგრამ სულიერობა მოკლებულია ცოცხალ თანაგრძნობას. ეგოიზმი ,,გონებრიობაზე“ ბევრად ძლიერი აღმოჩნდება, საზოგადოებას განხეთქილება ხლეჩს, იღვრება სისხლი-ხდება უფრო დიდი უბედურება, რასაც თითქოს წინ აღუდგნენ. ამ იგავისებურ პიესაში რამდენადმე თითქოს ჩვენი თანამედროვეობაც ირეკლება.

მიუხედავად იმისა, რომ ავტორი თავის თხზულებებში მეტად რთულ მდგომარეობაში ჩავარდნილი პერსონაჟების ცხოვრებას აღგვიწერს, მის შემოქმედებაში იუმორი მნიშვნელოვან ადგილს იჭერს, იუმორი უმთავრესად სიტუაციური კომიზმის ფორმითაა გამოვლენილი. მისი იუმორის წყარო, ისევე როგორც ყველა დიდი ხელოვანისათვის, ცხოვრება იყო. მას ჰქონდა იშვიათი უნარი, ადამიანთა ურთიერთობაში, მათ მეტყველებაში შეემჩნია სასაცილო და რაც მთავარია, ექცია იგი თავისი მხატვრული შემოქმედების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ესთეტიკურ ფენომენად. კლდიაშვილს უდავოდ ჰქონდა, იუმორის უზარმაზარი ნიჭი.

ამგვარად, დავით კლდიაშვილის მხატვრულ ნაწარმოებთა პერსონაჟები გვევლინებია, როგორც ქვეყანაში იმ დროისათვის არსებული სოციალურ-პოლიტიკური და ეკონომიკურის კრიზისის მსხვერპლად. დუხჭირ ცხოვრებასთან

დარჩენილნი კარგავენ ადამიანურ სახეს, ემიჯნებიან მანამდე არსებულ ღირებულებებს და ხორცის გადასარჩენად სულსა და ზნეობას იმეტებენ. უახლოეს ადამიანებს შორის კავშირები ირღვევა, შვილი მამას უმხედრდება და ძმა - ძმას. ოღონდაც მუცლადმყოფმა ძმამ დაბადების შემდეგ მის შვილებს ლუკმა არ გაუყოს, მზადაა ქვეყნიერებაზე მოვლენამდე მოკლას. პლატონი სიკვდილისთვის იმეტებს მამის მეუღლეს, რომელიც მუცლით შვილს ატარებს. ამით არ სრულდება ტრაგედია, ბრძოლას „ლუკმა-პურის შესანარჩუნებლად“ სასამართლოში განაგრძობს.

სოლომან მორბელაძე ოჯახის შენახვას ახლადშექმნილი პროფესიის - მაშვლობის საშუალებით ცდილობს. მისი ცხოვრების მეგზურია ტყუილი და სიცრუეზე აგებული ურთიერთობები, რომლის მსხვერპლიც, სხვებთან ერთად, თავადაც ხდება.

ამ საზოგადოებაში ადგილი აღარ რჩება ნათესაურ ინტიმურ გრძნობისათვის, აქ ანგარებაზე აგებული ულმობელი კანონები მოქმედებენ და ადამიანებიც შესაბამისად არიან მომართულნი.

ქვეყანაში შექმნილმა კრიზისმა ადამიანებს ყველაზე უპირველეს ღირებულებებზე - სიყვარულსა და ოჯახის შექმნაზე ათქმევინა უარი. ოჯახში ახალი წევრის დაბადება უიმედობასა და გაურკვევლობასთან არის დაკავშირებული. ხელმოკლე ოჯახს არ ძალუძს შვილის გამზითვება და სილამაზით, მშვენიერებით, გონიერებითა და კდემამოსილებით გამორჩეული ასულები ოჯახს ვერ ქმნიან. უმზითვო ქალს სახლის კარებს ვინ გაუღებს? რჩეული ვაჟკაცები თავსაც კი ვერ უმხელენ ცოლის შერთვის სურვილს. და ასე სასოწარკვეთილ, უმიედოდ დარჩენილთ შორის სადგურდება ყოველგვარი უკეთურება. დავით კლდიაშვილმა თავისი გენიალური მიგნებით და მხატვრული დიდოსტატობით აღწერა შემოდგომის აზნაურთა გალერეა.

გამოყენებული ლიტერატურა

1. აბაშიძე კ., ეტიუდები XIX ს-ის ქართული ლიტერატურის შესახებ. მე-2 გამოცემა. გამომც. „საბჭოთა საქართველო“ თბილისი - 1970;

2. ახალი ქართული ლიტერატურის ისტორია/ ტომი II/ თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2010/ გვ;446;

3. ქართულლი ლიტერატურის ისტორია, ტ. IV, თბილისი, 1973;

4. კლდიაშვილი დ., „სამი მოთრობა“ / თბილისი - 1991;

5. კლდიაშვილი დ., „ჩემი ცხოვრების გზაზე“ / ბათუმი - 1984;

6. კლდიაშვილი დ., ჩემი ცხოვრების გზაზე: [მოგონებები]; მოთხრობები/ სახელმწიფო გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“/ თბილისი - 1961;

7. კლდიაშვილი დ., პროზა. გამოც.თბილისი - 2013;

8. კლდიაშვილი ს., დავით კლდიაშვილის ბიოგრაფია, თბილისი - 1930;

9. მიშველაძე რ., რჩეული თხზულებანი ოცდახუთ ტომად/ ტომი XXV/ “საქართელოს მაცნე“ 2013;

10. მასწავლებლის ბიბლიოთეკა/ ქართული ენა და ლიტერატურა/გამოცდების ეროვნული ცენტრი/ ტომი IV / თბილისი - 2009;

11. ვართაგავა ი. „ქართულ მწერალთა სილუეტები“ გამოც. თბილისი - 1956.